# სახალხო გაზეთი

№ 616 სამშაბათი, 5 ივნისი, 1912 წ. № 616

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები; პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## ამ ნომერში ექვსი გვერდია.

### მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს — მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . უფასოა.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიანთ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეხალი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

---

## სახალხო გაზეთი

## სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

## 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.**

### წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

### თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

„სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია მკითხველთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ განსვენებულ

## იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად პანაშვიდები

**დღეისწორამდე იქნება ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საღამოს 8 საათზე.** (1—1)

---

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო **ჟურნალ „განათლების“ რედაქცია** აცნობებს მკითხველებს ჩვენი ცნობილი პედაგოგის საზოგადო მოღვაწის

## იაკობ გოგებაშვილის

გარდაცვალებას, ივნისის 1-ს ნაშუადღევის 6 საათზე. დასაფლავება მოხდება კვირას 10 ივნისს დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2—1312—2)

---

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ „საზოგადოების“ საპატიო წევრის

## იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის

დაკრძალვა დანიშნულია 10 ივნისს, კვირას. წირვა და ანდერძის აგება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 8 საათზე. (7—1311—2)

---

**ანტონ როსტომის ძე, ელისაბედ გიორგის ასული, ანეტა, ელენე** და **თამარა ანტონის ასულნი მაკალატიები, დავით როსაპის ძე** და **მარიამ ანტონის ასული მაჭავარიანები, ივანე გიორგის ძე** და **ნინა ანტონის ასული დავიდოვები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 6 ივნისს, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი გორში, ოქონის ეკლესიაში: პირველი ორი—საყვარელი შვილისას, დანარჩენები—ძმისას და მოყვრისას უდროოდ გარდაცვალებულ გორის გიმნაზ. მეექვსე კლასის მოწაფის

## ალექსი ანტონის ძის მაკალატიას

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1.498.1)

---

**ეფემია, შალვა, ალექსანდრე, ანნა, ანეტა და სხვანი** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 1 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი ძმა, დანარჩენების ძვირფასი ბიძა

## იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა კვირას 10 ივნისს, დიდუბეში. (ნ.—3—1)

---

## სამარხ პროცესიათა ბიურო

## გ. ბ. კიკნაძე

### დიდ-ძალი და ზევრნაირი

### გვირგვინები.

დიდი ვანქის ქუჩა, № 12. (5—1313—1)

---

**წელიწადი მეორე** „კოლხიდა“ 1912 წ.

1 წლით . . 7 მ.
1/2 წლით . . 4 „
1 თვით . . . 80 კ.
ცალკე № . . 5 კ.

წლიურ ხელის მომწერთა შეღავათიანი წესი:
ხელის მოწერისათანავე . 3 მ.
პირველ მაისს . . . . 2 „
„ ენკენისთვეს . 2 „

**მისამართის გამოცვლა 50 კაპ.**

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ. შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. სხვა პირობები ყოველი თვის დამდეგ სათვის გამოცხადდება. ფული და ყოველი იგი გაზეთის საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: гор. Кутаисъ, газ. „Колхида“ Антону Михаиловичу Хеладзе. (3—1303—2)

---

დაარსებულია 1904 წ.

## სანატორიუმი

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

**და საზაფხულო სამყოფი ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა**

## პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.**

**მიიღება** დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი. **არ მიიღება** სიჭლექით დაავადმყოფებულნი, (25.1291.9)

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

### ყურადღება მიაქციონ

**ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ირის“,

25 ცალი 15 კ. ბ 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,**
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

## „ძმ. სეილანოვები“

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.54)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფობანი | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული). | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო, ქალ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სულ. ავად. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დაგითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | **მჭედლიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა **შეღავათიანი საფასურით.** (წ.—10[illegible]0—351)

---

7 ივნისს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე,
**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში**

## დანიშნულია წლიური კრება

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში**

**✦ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრისა ✦**

**განსახილველია:** 1. წარსული წლის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება ანგარიშის შესახებ, 3. მოსაზრება და დამტკიცება წრის საქმეთა მართვის ისეთი წესებისა და ინსტრუქციებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ წრის მიზნის მიხწევას, 4. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა 5. არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა 6. ახალი წევრების მიღება. (3.[illegible]308.[illegible])

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 308)

---

✦ **ბაკურიანში.** ✦

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს მოწაფეებს მთელი ზაფხულის განმავლობაში საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის იქვე ასწავლის **ახალ ენებს** სპეციალისტი. მოლაპარაკება შეიძლება 5 ივნისამდე ქუთაისში, კაუხჩიშვილის საქალებო კერძო გიმნაზიაში, შარაშიძის სულთან; 5 ივნისს შემდეგ—ბაკურიანში, შარაშიძესთან. (3—1299—3)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ., ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.—ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ, შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა**, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—1 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სიიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1234—12).

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ტოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

## წამლობა „606“-ით.

(წლ.—1018—28.)

---

**იბეჭდება და ივნისის 5 გასასყიდად გამოვა**

## დარია ახვლედიანის

ლექსები

## „სევდის ჰანგები“.

(3.1304.2)

---

### დოქტორი მედიცინისა

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 177)

---

**ელექტრონისა და რენტგენის**

**სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1027—29.)

---

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან ავადმყოფთ** ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა

პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—103)

---

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—170)

---

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 7—ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

---

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

---

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

---

**ექიმი** ივ. გომართელი

მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.11.)

---

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—44)

---

**ექიმი** კბილისა ა. (გ.) ბ. დოლიძე

**გადავიდა ნაძალადევში** (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვისა და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, **დილის 8—2 ს.—მდე** და **საღამოს 4—7 ს.** (თ.1179.4)

---

**ექიმი** პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.117).

---

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

# ტფილისი, 5 ივნისი.

**თავად-აზნაურთა კრებების დასასრული.** დასრულდა თავად-აზნაურთა კრებები ტფილისში, თითქმის არც ერთს სხდომას არ ჩაუვლია ისე, რომ რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო. საათი რომ დაგეჭირათ ხელში და დრო ალგენიშნათ, დარწმუნდებოდით, რომ ყვირილსა და ღრიანცელზე უფრო მეტი დრო მიდიოდა, ვიდრე საქმიან მსჯელობაზე. ბრძოლა დიდი იყო, მაგრამ ნაყოფი ამ ბრძოლისა კი სრულიად უმნიშვნელო. გორის პროგიმნაზიაში მომხდარი ინცინდენტი კამათის ქვაკუთხედად იყო გადაქცეული. როდესაც ორატორები ჰგმობდნენ დირექტორ ზაალიშვილის მოქმედებას, თითქმის მთელი დარბაზი მხურვალედ ტაშს უკრავდა, მაგრამ, როდესაც კენჭის ყრამდე მივიდა საქმე, პროგიმნაზიებს მაინც მისცეს სუბსიდია ხმათა დიდის უმრავლესობით. ამაში გამოიხატა ნამდვილი სულის კვეთება თავად-აზნაურთა კრების იმ ნაწილისა, რომელიც ფაქტიურად სწყვეტს საკითხებს. ტაშს უკრავდნენ ორატორებსა და მოსწონდათ მათი ნალაპარაკევი მხოლოდ იმ დრომდე, სანამ პროტესტის ხმები ისმოდა. მოქმედების გეგმის შეცვლა და, ნიშნად უკმაყოფილებისა, სუბსიდიების წართმევა მაინც ვერ მოახერხეს. ვერ მოახერხეს არა იმიტომ, რომ ვერ გაბედეს, არამედ იმიტომ, რომ არა ჰსურდათ. გორის მარშალმა თ-დმა თუმანიშვილმა ერთს თავის სიტყვაში სთქვა: ჩვენი მშობლები ქართულ გიმნაზიებში მხოლოდ მაშინ მიაბარებენ შვილებს, როდესაც უფასოდ გაუზრდიან, ფულით კი სახაზინო გიმნაზიებს ამჯობინებენო. თ-დმა თუმანიშვილმა მართალი სთქვა. ასეთია ფსიხოლოგია გადაგვარებულ ქართველ მშობლისა. ასეთივე ფსიხოლოგია ამოძრავებდა თავად-აზნაურთა კრების უმრავლესობას, როდესაც პროგიმნაზიებს სუბსიდიას აძლევდა. მათ უნდათ ეს პროგიმნაზიები. მათში ჯერ კიდევ ღრმადა ზის საყვარელი მოხელეობისადმი, თუმცა ეხლაც კი საბუთი აქვთ დარწმუნდნენ, რომ ეს მოხელეობა ქართველ ახალგაზდას არარაფერს აძლევს.

ამიტომ მოხდა, რომ გულში ღრმად ჩანერგულმა სიყვარულმა მოხელეობისადმი სძლია პროტესტის ხმას.

ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ თავად-აზნაურობა თავის ნამდვილ საჭიროებას შეიგნებს, მაგრამ იმაში კი მალე დარწმუნდება, რომ ასეთი საშინელი გატაცება გიმნაზიურ განათლებით კარგს შედეგამდე ვერ მიიყვანს...

## სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

თ-დი **ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

ერთხმად მიიღეს შეთანხმებელ კომისიის დასკვნით კანონპროექტი უმაღლესი ტიპის პირველდაწყებით სასწავლებელთა.

მიიღეს რამდენიმე უმნიშვნელო კანონ-პროექტი.

მცირე კამათის შემდეგ მიიღეს კანონპროექტი გზათა ექსპლოატაციისა.

უკამათოდ მიიღეს 19 კანონპროექტი.

**ფონ-ანრეპის** მოხსენებით მიიღეს დონის ოლქის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში სააგრონომიო განყოფილების დაარსების კანონ-პროექტი.

**ციტოვიჩი.** კითხულობს მოხსენებას სოფლად სამკურნალო დახმარების მომწყობ კანონ-პროექტის თაობაზე.

**შინგარიოვი.** ისე არა არისრა უპატრონოდ მიტოვებული, როგორც სოფელი. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული სამკურნალო საქმე იქ, სადაც ჯერ ერობა არ შემოუღიათ ბალტიის მხარეს, კავკასიასა და ციმბირში. ვიდრე ამ კუთხეებში ერობას არ შემოიღებთ, სამკურნალო საქმეში ვერაფერსაც ვერ გააწყობთო.

კანონ-პროექტი მიიღეს შინგარიოვის შესწორებით.

**ლერხემა და შარვაშიძემ** მოითხოვეს ქ. ბათომის სასარგებლოდ ფულის გადახდევინების კანონ-პროექტი. ფული უნდა გადახდეს ყველა საქონელს, ბათომის ნავთსადგურში გატარებულს.

კითხულობენ სოციალ-დემოკრატთა წინადადებას: მემარჯვენეთა შეკითხვა კიევში იუშჩინსკის მოკვლის თაობაზე, განსახილველ საგანთა სიაში მოვაქციოთო.

**გეგეჭკორი.** ამ წინადადებას კავშირი აქვს კიევის მაძებარ პოლიციის ნაუფროსალ კრასოვსკის ჩვენებასთან, გაზ. „კიევლიანინში“ რომ არის დაბეჭდილი. კრასოვსკის სიტყვით იუშჩინსკი ქურდების ორგანიზაციას მოუკლავს. დიდი სირცხვილი იქნება, დიდი სირცხვილი სათათბიროსათვის, თუ შეკითხვა, დამადასტურებელი კაცთმოძულეობისა და სიცრუისა განუხილველად დარჩაო.

104 ხმით (ოპოზიცია და მემარჯვენენი) 58 წინაამდეგ წინადადება მიიღეს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდა.

## სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის გამო მე-17 მუხლის თაობაზე უთანხმოება ჩამოვარდნილა საბჭოსა და სათათბიროს შუა. საბჭომ იგი ძველი რედაქციით მიიღო.

მიიღეს ოცდახუთი უმნიშვნელო კანონპროექტი.

საბჭომ დაიწყო განხილვა იმ კანონ-პროექტისა, რომელიც ეხება შაქრის ქარხანათა გასამრავლებელ ღონისძიებათა გამოძებნას.

**ველიოკეისკიმ** საფინანსო და საკანონმდებლო კომისიის სახელით ილაპარაკა. საბჭოს უარუყვია სათათბიროს გადაწყვეტილება შაქრის აქციზისათვის 75 კაპეიკის დაკლების თაობაზე, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია მართლადაც თან და თან დაუკლოს აქციზსაო.

**პიხნო** მომხრეა სათათბიროს წინადადებისა. ხაზინას არ აზარალებს სააქციზო გარდასახადის შემცირება, რადგან მაშინ საქონელი უფრო მეტი გაიყიდებაო.

**ვასილიევიც** მომხრეა აქციზის დაკლებისა და მოითხოვს შაქრის გადასახადს ხუთი შაური მაინც დაუკლოთო.

**ვიტტე** წინააღმდეგია აქციზის დაკლებისა. იაპონიის ომმა რუსეთი ძალიან დააზარალა. ჯარი არეულდარეულია, ფლოტიც არა გვყავს. ამ ნაკლის მოსასპობად ზრუნვაა საჭირო. რაც ეხლა ფლოტისა და ჯარისათვის ფული გადაუდვიათ, ბევრი ვერაფერია, ეს მხოლოდ დაჯღანებაა იაპონიასთან ომის შედეგისა. ამიტომ სათათბიროს წინადადება სააქციზო გადასახადის თაობაზე მისაღები არ არისო.

**მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე** წინააღმდეგია შაქრის გადასახადის დაკლებისა. თუ რუსეთის ფინანსები კარგ მდგომარეობაშია, საჭიროა ამ მდგომარეობის განმტკიცება და არა გადასახადთა შემცირება, სათათბიროს წინადადება მხოლოდ საარჩევნო ფანდია, გასამარჯვებლად ხმარებული და მალამოს ვერ დაადებს ხალხის გაჭირვებასაო.

**ხანენკოც** წინააღმდეგია გადასახადის დაკლებისა. თუ მაინც და მაინც დაკლება გსურთ, ცოტ-ცოტა დაგეკლიათ, წელიწადში ფუთზე ორი შაურიო.

### საღამოს სხდომა.

კამათი ისევ შაქრის მრეწველობის გასაძლიერებელ ღონისძიებათა გამო არის.

ილაპარაკეს **როტვანდმა პიხნომ** და **გრ. ვიტტემ.**

ყოველი შესწორება უარჰყვეს და კანონ-პროექტი საფინანსო და საკანონმდებლო კომისიათა რედაქციით მიიღეს.

კანონ-პროექტი შეთანხმებელ კომისიას გადასცეს, რომლის წევრებიც ამავე სხდომაზე აირჩიეს.

შემდეგი სხდომა 5 ივნისს მოხდება.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** მინისტრთა საბჭოში სახალხო განათლების მინისტრს კასოს განუცხადებია, საჭიროდ არ მიმაჩნია კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნაო.

◆ **„წითელი ოთახი“-ს საქმე,** რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ და სწერდნენ შარშან, ახლაც არ არის გათავებული. ამ საქმის გამო 2 ივნისს თავის კამერაში გაიწვია საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა პირველ გიმნაზიის ნადირექტორალი ი. ე. გამყრელიძე და ჩვენება ჩამოართვა.

◆ **ა. ი. მიზანდარის დასაფლავება.** გუშინ მიწას მიაბარეს სამის დღის წინად ტფილისში გარდაცვალებულ ცნობილ მემუსიკის ალიოზ იოსების ძის მიზანდარის გვამი. განსვენებულმა სხვებთან ერთად ტფილისში სამუსიკო სასწავლებელი დააარსა. მიზანდარი როიალის საუკეთესო დამკვრელი იყო. განსვენებული 74 წლის მოხუცი იყო და საზოგადო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

◆ **ვაჭართა თავშესაფარი.** გუბერნატორმა დაამტკიცა ვაჭართა დადგენილება: დაარსდეს ტფილისში თავშესაფარი მოხუც ვაჭართათვის რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად.

◆ **ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწე გ. ზ. ქანანოვი** ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა, თანახმად გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის წინადადებისა. გ. ზ. ქანანოვს 1910 წელს კვიტანციებით საქალაქო ფული მიუღია და ქალაქის კასაში დღემდე არ გადაუცია.

◆ **სახალხო უნივერსიტეტმა** ზაფხულის გამო მოქმედება შეაჩერა და ყველა სკოლა დახურა შემოდგომამდე.

◆ **სავაჭრო ბანკის** საორგანიზაციო კომიტეტმა საბოლოოდ შეიმუშავა ამ ბანკის წესდება და ამ დღეებში უმაღლეს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად. ბანკის ძირითად თანხად ხუთი მილიონი მანეთი იქნება. გამოუშვებენ სულ 20,000 აქციას. თითო აქცია 250 მ. ღირება. მარტო ერთს კაცს 600 აქციაზე მოუწერია ხელი. არიან ისეთი პირნიც, რომელთაც 400, 300 და 200 აქციაზე აქვთ ხელი მოწერილი. კრებებზე ხმის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ ოცის აქციისა.

◆ კავკასიის საბრეშუმო სადგურთან 1 ივნისიდან **მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები** გაიხსნა. კურსებზე სულ 42 მსმენელია. ამათში ექვსი სოფლის მასწავლებელია.

◆ **ექსკურსიები.** მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვლენ მეცნიერულის აზრით: 1) მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიკო ფაკულტეტის სტუდენტები, 2) ნიჟეგოროდის საკომერციო სასწავლებლის მოსწავლენი, 3) კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის მსმენელნი და 4) დანციგის საბოტანიკო-საზოოლოგიო საზოგადოების წევრნი.

◆ **თავის მოკლის განზრახვით** 3 ივნისს ნიშადურის სპირტი დალია მეძავმა ქალმა თეოფილა მათვეის ასულმა ჩურნალისამ, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად არამიანცის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ დაიხრჩო მტკვარში ბანაობის დროს ტფ. მაზრის სოფ. დიდ-ლილოს მცხოვრები დავით სოლომონის ძე გობიტაშვილი 19 წლისა (მებაღე).

◆ წელს ტფილისის **საეპარქიო ქალთა სასწავლებელში** რვა კლასის კურსი დაასრულა 12 ქართველმა ქალმა: ბარბარე მირიანიშვილმა, ანა გრძელიშვილმა, თამარ ღვთისავრიშვილმა, ქრისტინე ტყემალაძემ, ნადეჟდა ბებიაშვილმა, სოფიო ნამორაძემ, ელენე ჩარკვიანმა, მართა კანდელაკმა, ნინო დეკანოზიშვილმა, ანა ჟუსტიაშვილმა, ანასტასია კახიძემ, მარიამ ადამიშვილმა.

◆ **შემოსავალი სეირნობისა,** რომელიც 26 მაისს მუშტაიდში გაიმართა „ნაძალადევის“ სცენის მოღვაწეთა ჯგუფის სასარგებლოდ, ოცდა ათ თუმნამდე იყო.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.** რომელიც ავად იყო, უკვე განიკურნა და გუშინ თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **თავი მოიკლა** საწამლავით ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებმა მიხეილ ნიკოლოზის ძე კოცერიძემ, რომლის გვამიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 2 ივნისს, შუადღისას, ტფ. სასულიერო სემინარიის ძველ შენობასთან ტრამვაის ვაგონები № 51 და № 25 ერთმანეთს დაეჯახნენ. **ორივე ვაგონი დაზიანდა.** მგზავრთაგან დაშავდა ორი: ელისაბედ ალექსანდრეს ასული გაბელავა და არტემ სტეფანეს ძე არუთინოვი.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულს ენაზე: „მოკლე სახელმძღვანელო კავკასიის გეოგრაფიისა“, შედგენილი ე. ხრამელაშვილისა. ეს წიგნი მესამე გამოცემაა. წიგნი ღირს სამ აბაზად.

◆ 3 ივნისს, დილის თერთმეტ საათზე, ავლაბრის მოედანზე ტრამვაის გაქანებულ ვაგონზე შეხტა იაკობ გეორქას-ძე უმბიევი (65 წლისა), მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა, ძირს ჩამოვარდა და დაშავდა.

◆ 3 ივნისს, საღამოს 5 საათზე, სადილობის დროს, უეცრად გარდაიცვალა მესაზანდრე სერგო გაბრიელის-ძე მატინიანცი, 39 წლისა.

◆ ტფილისში შეიპყრეს 2 ივნისს ას თერთმეტი უპასპორტო, ხოლო 3 ივნისს—35

### სასამართლო.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** თიანეთიდან ტფილისს დაბრუნდა.

### სასწავლებლებში

◆ **ხელსაქმის კურსები.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელ-ქალთათვის ტფ. დედათა მესამე გიმნაზიასთან ექვსის კვირით ხელსაქმის კურსები გაიხსნება.

◆ **პროგიმნაზია ავლაბარში.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო, ავლაბარში დედათა პროგიმნაზია გახსნან. საპედაგოგიო საბჭოს წევრებად 12 კაცი დაამტკიცა მეხუთე სავაჟო გიმნაზიის დირექტორ ი. ს. ღულაძის თავჯდომარეობით.

### ბათომი

**„ბათომის გაზეთი“-ს საქმე.** 31 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე ბათომის ჟანდარმთა გამგეობის უფროსის განკარგულებით, „ბათომის გაზეთი“-ს რედაქციასა და კანტორას დაუბრუნეს კვირას გაჩხრეკის დროს წაღებული კანტორის წიგნები და საგაზეთო მასალა რამდენიმეს გარდა.

◆ 31 მაისს, რამდენიმე უცხოელი **გურიის ნავთიანი ადგილების** მოიჯარადრეთა წარმომადგენელნი გაემგზავრნენ ბათომიდან გურიას. მათ წაიღეს დიდძალი მოწყობილება ნავთიან ადგილზე ბურღის დასადგმელად. („კოლხიდა“)

### ჭიათურა

◆ 1 ივნისს, შუადღის სამის ნახევარზე დაუშვა კოკის პირული წვიმა, რამაც გასტანა 15 თუ 20 წუთს. წამოვიდა მთებიდან ნიაღვარი, წალეკა ნახევარი ბაზარი, გააფუჭა მარგანეცის სარეცხი ბევრი მანქანა.

დაიქცა რამდენიმე დუქანი, ბევრიც წყლით ამოივსო, სურათი საზარელი იყო. აქა-იქ ისმოდა ქალების და ბავშვების წივილ-კივილი.

ადგილობრივ მოვაჭრე ბერძენს მოსტაცა ბავშვი, დედამ შეხედა თუ არა თავისი შვილი მიჰქონდა ნიაღვარს, გადაეშვა ღვართქაფში და ძლივს გადაარჩინა. კ—ძის ტუნელში მოემწყვდნენ მუშები, ნიაღვარმა მსწრაფლ ამორაგვა ტუნელი, მაგრამ მთელი ღამის ენერგიულად მუშაობამ ძლივს-ძლივობით მიაგნეს მუშებს და გამოიყვანეს შიშისაგან ნიშან-წყალ დაკარგულნი.

შავი ქვის საბჭოსაც, საგრძნობელი ზარალი მოუვიდა, ბევრგან სამრეწველო გზები წალეკა.

მთელი ზარალი დაახლოვებით 40—50 ათას მანათს უდრის. საბედნიეროდ, ბუნების წყრომა დღით იყო, თორემ ვინ იცის, ღამით რომ მომხდარიყო, რამდენ ადამიანს იმსხვერპლებდა.

# იაკობ სვ. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო დეპეშები.

**ქართ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა, ვერცხლის გვირგვინით შეამკოს განსვენებულ მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის კუბო.

სახელოვან მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** გარდაცვალების გამო საგანგებო კრება ჰქონდა „ნაძალადევის“ სცენის მოღვაწეთა წრის გამგეობას და დაადგინა: 1) ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას, 2) წარმოდგენები შესწყვიტოს ნაძალადევის თეატრში განსვენებულის დაკრძალვამდე და დაესწროს განსვენებულის დასაფლავებას.

ბაქოს ქართველმა საზოგადოებამ დაადგინა, განსვენებულის **კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკოს.** წარმომადგენლად ჰგზავნიან **მანსვეტაშვილს.**

შაბათს, 2 ივნისს, გადაიხდილ იქმნა წირვა ტფილისის ფერისცვალების მონასტერში **იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.** წირვის შემდეგ გადაიხადა პანაშვიდი გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ მონასტრის კრებულის თანადასწრებით. პანაშვიდის დაწყებამდე ეპისკოპოსმა მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრეთ თუ რა ღვაწლი მიუძღოდა გოგებაშვილს წინაშე სამშობლოისა და ერისა.

**ქუთაისი.** ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დაამწუხრა გარდაცვალებამ იაკობ გოგებაშვილისამ, რომელმაც საძირკვლი ჩაუყარა ქართულ საბავშვო მწერლობას. გამგეობა უგულწრფელესად სწუხს ასეთ დანაკარგის გამო და ღრმადა სწამს, რომ აზრი და ნაღვაწი მოაზრე მებრძოლთა მუდამ უკვდავია. შთამომავლობა არასოდეს არ დაივიწყებს განსვენებულის ღვაწლს, —მან თავის საპედაგოგიო მოღვაწეობით აღმართა ხელთუქმნელი ძეგლი.

გამგეობის თავმჯდომარე
**გარსევანიშვილი.**

ვგლოვობთ იშვიათ ქართველისა და გამოჩენილ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

ფეოდოსია და სვიმონ **ქვარიანები.**

ქალაქის სამოსწავლო კომისია ღრმად დაამწუხრა უბადლო ადამიანის, ქართულ ეროვნულ განათლების ასპარეზზე გამოჩენილ მოღვაწისა და დედა ენის დაუღალავ მოსარჩლის დაკარგვამ. ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ქართველ ერის მწუხარებას.

კომისიის თავმჯდომარე
**გრიგ. ბარათაშვილი.**

გულის სიღრმემდე შეგვაწუხა სახელოვან და ერთად-ერთ ქართველ პედაგოგის დაკარგვამ.

მიხეილ, მოსე და ნიკოლოზ
**ქიქოძენი.**

უნუგეშო მწუხარებას განვიცდით სამართლიანობისათვის სახელოვან, დიდებულ, საქმიან მებრძოლის და დაუვიწყარ მეგობარის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის უდროოდ დაკარგვისა გამო.

მიხეილ და ნინო **ქიქოძენი.**

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფენი შეაძრწუნა ნიჭიერ პედაგოგისა და ცნობილ პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. **მოწაფენი.**

**ბაქო.** გული მოგვიკლა ეროვნულ აღორძინების გამოჩენილ მოღვაწის, ძვირფას იაკობის დაკარგვამ.

**ალ. მაღალაშვილი, ილ. ბგლაძე და**
**გ. ლასხიშვილი.**

უსაზღვროა მწუხარება ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგ. ბაქოს განყოფილების გამგეობისა, დიდებულ პედაგოგისა, საქართველოში განათლების გამავრცელებლისა და იდიალურ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვისა გამო, რომელმაც მთელი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურს შეალია. გამგეობამ დაადგინა: გადაიხადოს პანაშვიდი, გამგეობის წევრს იაკობ მანსვეტაშვილს დაავალოს ტფილისში წასვლა დასაფლავებაზე დასასწრებლად და განსვენებულის კუბოზე გვირგვინის დასადებად.

**გამგეობა.**

გული დამწყვიტა ძვირფას იაკობ სვიმონის ძის გარდაცვალებამ. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

**ელიაშვილი.**

ღრმად დამაღონა სამშობლოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის მტკიცე და დაუღალავ მებრძოლის გოგებაშვილის დაკარგვამ. მუხლს ვიდრეკ შენის ცხედრის წინაშე, ჩემო დაუვიწყარო აღმზრდელო სკოლაში და მასწავლებელო ცხოვრებაში. **მანსვეტაშვილი.**

ღრმად დამამწუხრა დაუფასებელ პედაგოგისა და პუბლიცისტის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალებამ. **თაქთაქიშვილი.**

ბაქოში არსებულ სარესტორანო საქმის კანტანინეს სახელობაზე არსებული არტელი, დიდად შეაძრწუნა უდიდეს განმანათლებლის სამშობლო ქვეყნისა და ხალხის მასწავლებლის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. მისი ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენს გულში.

კრინიცკი ნიკოლოზი, ლომიძე, ერმანი, მაკარ გევორქოვი, კალანდარაშვილი, იაკობაშვილი თეოფანე, კირვალიძე ვასილი, ჰალიძე თევდორე, სხირტლაძე ილარიონი, ჯიბუჯი ივანე, ჯიბუტი სამსონ, მარკოზაშვილი ფორან, ალავიძე ერმოლოზ, კიკვაძე სამსონ, სიხარულიძე, ჩუმაშვილი გაბრიელ, იაგორ მერაბოვი, დუდუჩავა, ძნელაძე მიხეილ, მეტრეველი ივანე, სამხარაძე ალექსი, მიხ. რუსუა, ლეკიშვილი ნიკო, იაკობაშვილი [illegible], გალაქტიონ, დავითაია ლაზარე, რევიაშვილი [illegible]

**დავითაია იაკობ.**

**ბათომი.** დაგვაღონა საყვარელ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

ტელეგრაფისტები: **დევრიანი, ბარამიძე, ხუბიაშვილი, კაკაბაძე, კალანდარაშვილი.**

**ჭიათურა.** ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სკოლათა მასწავლებლები გამოსთქვამენ თავიანთ ულრმეს მწუხარებას მცხოვან პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალების გამო. იგი ნახევარი საუკუნე ედგა დარაჯად ქართველთა სახალხო განათლებას.

**ჯაყელი, გომელაური, წუწუნავა, ბურჭულაძე, მღვ. ბარათაშვილი, მითაიშვილი, წერეთელი და კიკალაშვილი.**

**ჭიათურა.** ღრმად დაგვაღონა საქართველოს საუკეთესო შვილის გარდაცვალებამ.

**ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა.**

**ჭიათურა.** ჭიათურის ქართული დრამატიული წრე გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

**სამტრედია.** ვაჭართა საურთიერთო ნდობის საზოგადოება ღრმად დამწუხრებულია სახელოვან ქართველი მასწავლებლის დაუვიწყარ იაკობის დაკარგვით. ვუერთდებით საერთო მგლოვიარებას.

**გამგეობა და საბჭო.**

**საჩხერე.** შორაპნის მაზრის მთელი მოსახლეობა ულრმესად სწუხს მთელი საქართველოსათვის უძვირფასეს დანაკარგის გამო, რომელიც იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალებაში გამოიხატა. იგი იყო დაუღალავი მოღვაწე და მხურვალე მამულიშვილი თავად აზნაურთა სამაზრო წინამძღოლი **თ-დი წერეთელი.**

**ჭიათურა.** ჩვენის მოძღვართ-მოძღვარის, ჩვენის გათვითცნობიერების ერთგულ ლალის, ღირსეულსა და უმწიკვლო მამულიშვილის, ქართველთ გოლიათ პედაგოგის მამათმთავრის იაკობის წარუშლელ ხსოვნას.

„იყო ვით მტრედი უმანკო
თვის ხუნდებს უფრთხილდებოდა—
არწივთა კლანჭი არ ჰკრანო,
ამა აზრისთვის კვდებოდა“.

დიახ, კვდებოდა და აჰა აღსრულდა კიდეც, მაგრამ ჩვენ მაინც გულს არ ვიტეხთ რადგან მტკიცედ გვრწამს რომ: **„იაკობ მოკვდა — იაკობი ცოცხალია“.**

შეგვინდე, მამათ-მამაო, იაკობ თუ რაიმე იმავ წმიდა საქმის გულისთვის უნებლიეთ გაწყენინეთ, რომელსაც შენ მთლად ედებოდი, ზვარაკად ეწირებოდი და რომელსაც შენი მთელი—არსებობა ანაცვალე.

**აპოლონ წულაძე** (ქერო).

**ოზურგეთი.** უზომოდ ვწუხვართ, როგორც მე ისე მთელი ქალაქის საზოგადოება, ასეთ, ქვეყნის სასარგებლო, ადამიანის დაკარგვის გამო, როგორიც იყო განსვენებული მოძღვარი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი. გარდავიხადეთ პანაშვიდი ქალაქის ტაძარში. საუკუნოდ იყოს მისი ხსენება.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი
**პლატონ ბერიძე.**

**ბათომი.** დიდად დაგვაღონა გოგებაშვილის გარდაცვალებამ. იგი იყო საუკეთესო ქართველი პედაგოგი მოქალაქე, დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, მებრძოლი მშობლიურ ერის განათლებისათვის.

**ნოე ჟორდანია, სოლოღაშვილი, ხომერიკი, ჩიჩუა, ჯიბლაძე, კალაძე.**

**ხონი.** დავკარგეთ ძვირფასი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, ერთგული მცველი სამშობლო ენისა, მედგარი მებრძოლი ქართველ ყრმათა ბუნებრივის აღზრდა-განვითარებისათვის. კვლავ მოგვივლინე ღმერთო მისებრ თავდადებული ხელმძღვანელი ახალთაობის აზრისა.

**ალექსი ჭიჭინაძე.**

**ოზურგეთი.** ოზურგეთის ვაჭრები უთანაგრძნობთ ქართველებს, მასთან ერთად გლოვობენ საუკეთესო პირველ მამულიშვილის, ძვირფას იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვას.

პლატიკო ჩხატარაშვილი, ალმასხან კალანდაძე, მოსე თალაკვაძე, სტანისლავ კალატოზიშვილი, მოსე ცომაია, ვანო დემურიავი, იროდიონ მომინაძე, კონსტანტინ ტუღუში, ფილიპე თავაძე, გიორგი ჯინჭარაძე, რუბენ ჩხაიძე, კირილ აბაშმაძე ვარლამ ოგრელიძე.

**სტეფანწმინდა** (ყაზბეგი) გული დამწყვიტა აუნაზღაურებელმა დაკარგვამ წ. კ. გამ. საზ. საპატიო წევრისა, გამოჩენილ პედაგოგისა, და მთელ ქართველ ახალგაზდობის მასწავლებელ იაკობ გოგებაშვილისამ.

ჩემის აზრით მისი გვამი უნდა დაიკრძალოს ჩვენ პანთეონში, მთაწმინდაზე.

წ. კ. გ ს. მთავარ გამგეობის თავმჯდომარე **ყაზბეგი**.

**გორი**. გორის ქართველი საზოგადოება დიდმა მწუხარებამ მოიცვა დიდებული მამულიშვილის იაკობ სვიმონის ძის გარდაცვალების გამო.

**ნ. ლომაური**,

**მცხეთა**. ინტელიგენციისა, მასწავლებელთა, ქალთა სამინისტრო სკოლისა და სამინისტრო სკოლის მოწაფეთა თანადასწრებით მცხეთის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი უღრმესად პატივცემულ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

**ფოთი** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფოთის განყოფილებამ საკათედრო ტაძარში გადაიხადა პანაშვიდი საზოგადოების დაუვიწყარ დამაარსებელის სულის მოსახსენებლად და დაადგინა, ნაცვლად გვირგვინისა, მოსწავლეებს დაურიგოს განსვენებულის ნაწერები.

განყოფილების თავმჯდომარე **მეუნარგია**.

**ყვირილა**. ღრმად დაგვალონა მხცოვან პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. გადავიხადეთ პანაშვიდი.

**ჩხეიძე, ანთაძე, ქვიტაშვილი, საყვარელიძე, კანდელაკი, ორეშიძე, ჩირგაძე, ორჯონიკიძე, გაჩიშვილი. ჭანკოტაძე, შჩეპანსკი, გაჩეჩილაძე, გველესიანი, მხეიძე, მაღლაკელიძე, ნიორაძე, კელენჯერიძე**.

**ლანჩხუთი**. ღრმა მწუხარებით დავსტირით შესანიშნავ, ძვირფას ქართველ მასწავლებელს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, დაჩაგრულ ქართულ ენისა და სკოლის იდეიურ დამცველსა და მებრძოლს.

ლანჩხუთის რაიონის **მასწავლებლები**·

**სუფსა**. ვუერთებთ ჩვენს ცრემლებს მთელს საქართველოს მწუხარებას.

**მელქაძე, წივწივაძე, ტუღუში, ავალიანი, ჭაკურაია, გეორგაძე**.

**ხაშური**. ხაშურის ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადა პანაშვიდი დაუვიწყარ პედაგოგის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. უერთდებით ქართველ ხალხის საერთო მწუხარებას.

**ბორჯომი**. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბორჯომის განყოფილება ფრიად დამწუხრებულია ქართველ ახალ-გაზდობის აღმზდელისა და დაუღალავ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებით.

**მოლითი**. მწარედ დავსტირი დიდებულს პედაგოგს იაკობს.

**ნიკოლოზ შატბერაშვილი**.

**ნაოლალევი**. მარტვილის სკოლის მასწავლებელნი უღრმეს მწუხარებას ვაცხადებთ ცნობილ პუბლიცისტისა და პედაგოგის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვისა გამო, რომელიც ქართულ სკოლის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებისათვის იბრძოდა.

**მასწავლებელი ქალნი:** კაწარავა და გეგეჭკორი; სამღთო სჯულის მასწავლებელი ბლაღოჩინი ქალაანიძე, **მასწავლებლები**: წაწარავა, სულავა, ფაცია, ცხაკაია, აკაკი გაბისონია, სოლომონ ქუთათელაძე, გრიგორი გ ბისონია, ნოე ქუთათელაძე.

**ერევანი**. უღრმესი მწუხარება მაგრძნობინა მხცოვან მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვამ, რომელიც ხანგრძლივ ფხიზელ დარაჯად ედგა სამშობლოს ინტერესებს, განუწყვეტლივ და თავგამოდებით იბრძოდა ეროვნულ სკოლის და დედა-ენისათვის, ჩემი მწუხარება მით უმეტეს უზომოა, რომ განსვენებულის ღირსეული მოადგილე არსად არა სჩანს. **დუტუ მეგრელი**.

**ბათომი**. ღრმად დაგვამწუხარა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

**„ბატუმსკაია პრავდა“-ს რედაქცია**.

**გორი**. მეჯვრისხევის საზოგადოება უზომოდ სწუხს დიდებულ ქართველის, ქართველ პედაგოგთა მამათ-მთავრის, ძვირფას მამულის და საქართველოს ავტოკეფალის უებრო მოსარჩლისა და ჩვენი შვილების აღმზრდელის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

**მეჯვრისხევის საზოგადოება**.

**გორი**. (შალვა გოგებაშვილს) სულითა და გულითა ვწუხვართ სამშობლოს საუკეთესო შვილის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

**გორელი ამხანაგები**.

**ბორჯომი**. მთელ საქართველოსთან ერთად ვგლოვ გამოჩენილ პედაგოგისა და ქართულ სახალხო სკოლის დიდებულ მამას.

**გომართელი**.

**ფოთი**. საყოველთაო გლოვას „დედა-ენის“ აკტორის დაკარგვის გამო იზიარებს ფოთის ქართ. დრამატ. საზოგადოება და ადგენს: განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო სასწავლებლის ერთი მოწაფე სწავლის ფულიდან გაანთავისუფლონ და პირველ დაწყებით სკოლების ულარიბეს შეგირდებს დაურიგონ განსვენებულის თხზულებანი, ოცდა ხუთი მანეთისა.

**ფოთის დრამატ. საზოგ დასი**.

ფოთის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელნი ჰგრძნობენ რა აუნაზღაურებელ დასაკლისს სასიქადულო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო თავის უღრმეს მწუხარებას და ცრემლებს უერთებენ ქართველ ერის საერთო გლოვას.

კიკნაძე, ბებია, ხოფერია, კანდელაკი მღვდელი, მოშოხიძე, პარკაია, თოხაძე, გოგავა ღვდელი, თოხაძე, წანავა, ლავროვა, ჰუბაბრია, ზუბულა ღვდელი, გეგეჭკორი ღვდელი ჰანტურია, ამირანაშვილი, კახიძე, ქუთათელაძე, ჩახაიძე გვასალია.

**ოზურგეთი**. კიდევ ერთი შესამჩნევი დანაკლისი. გაგვშორდა დიდებული მამულიშვილი, პირველი ჩვენი პედაგოგი, აღმზრდელი ჩვენი თაობისა, ძვირფასი იაკობ გოგებაშვილი. ქართველთა საერთო გლოვას მიუმატეთ ჩვენი გოდებაც. ადგილობრივ ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა დეკანოზმა დუმბაძემ მღვდლებით.

ღლონტი, ანდღულაძე ბაბილინა, ბებურიშვილი გოგოშვა, ბებურიშვილი კაკალო, ნაკაშიძე სოფიო, ბახტაძე ანა, მგელაძე მუწუწა, ჯაყელი მატრონა, გოგიტიძე ნადია, გეგელაშვილი გრიგოლი, აბაკერია იოსები, ჩიმაკაძე ნიკოლოოზი, სირაძე მალაქია, სალუქვიძე ევტიხი, ლომიძე ილარიონი, ბურჭულაძე სენე, თალაქვაძე დომენტი, თაყაიშვილი გიორგი, ჩიჩუა თეოფილე, გოგოძე გრიგორი, დანიძე იაგორ, ლომიძე გიორგი, გოგიტიძე ვანო, ღლონტი მიხეილი, ადეიშვილი, თარხან-ჯაყელი, ივლიან ჯაყელი, ილიკო ფირცხალაშვილი, ილიკო ცეცხლაძე, ვიქტორ ღლონტი, კალანდაძე სამსონ, ხურცილაძე, ალექსანდრე ხვარბინაძე, ოლიმპიადა ქორქიშვილი, სვიმონ ცხომელიძე.

**დიდი-ჯიხაიში**. დიდი-ჯიხაიშის მასწავლებელნი, სახელოვან პედაგოგ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით აღზრდილნი, უღრმესად ვწუხვართ მის დაკარგვას.

**სიღნაღი**. მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო მწუხარებას ჩვენს უღრმეს გლოვას ვუერთებთ, რამდენიმე თაობის აღმზრდელ იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

პანაშვიდი გადავიხადეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

**სიღნაღის ქართველობა**.

**გორი**. უზომოდ დაგვამწუხრა დიდებულ პედაგოგის, სამშობლო ქვეყნის ღირსეულ შვილისა და უმწიკვლო საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის უდროოდ დაკარგვამ.

მუხლს ვიდრეკთ დედა ენის ფხიზელ დამცველის წინაშე და ჩვენს სუსტ ხმას ვუერთებთ მგლოვიარე, აცრემლიბულ სამშობლოს.

**გიორგი გონიაშვილი, სევასტი შველიძე, ვანო გიუნაშვილი, სოლომონ კიკნაძე, ვასო სულიაშვილი, სანდრო გძელიშვილი**.

2 ივნისს, პეტერბურგიდან ჩამოსული **სტუდენტთა ექსკურსია** აცხადებს უღრმესს მწუხარებას დაუვიწყარ საზოგადო მოღვაწის მცხოვანი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

პსიხონევროლოგ. ინს. ტიტ. ქართ. სტუდენტობის წარმომადგენელნი:

გიორგი ბურჭულაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, აკაკი ტყემალაძე, სამსონ ბერულავა, ელისაბედ მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, ალ. გადასახაძე და ანთიმოს ლიბანელი.

## ტფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგ. კრება

### 2 ივნისის სხდომა.

კრების გახსნისას **ე. მაჩაბელმა** წაიკითხა 67 წევრისაგან ხელმოწერილი პროტესტი კრების თავმჯდომარის მოქმედების წინააღმდეგ კახ. რკინის გზის საკითხის გარჩევის დროს. პროტესტი სხდომების ოქმს დაერთო.

რამდენიმე წვრილი საკითხის გარჩევის შემდეგ, კრება გადავიდა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე.

თითქმის უცვლელად დაამტკიცეს ხარჯთ-აღრიცხვის გასავლის 1—4 მუხ.

დიდი კამათი გამოიწვია 5—10 მუხლებმა, რომელიც სხვა და სხვა სასწავლებლისათვის ერთდროულ დახმარებას ეხება. კრების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ მთავრობის სასწავლებლებზე გაღებული ფული, მაგ. გორისა და თელავის პროგიმნაზიებზე და სხვა, უსარგებლოდ გადაყრილია, რადგან ჩვენ არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არა გვაქვს მათს საქმეებზეო. კრების უმრავლესობა თანახმა იყო დახმარების მიცემისა.

რადგან საკითხმა ხანგრძლივი და გამწვავებული ხასიათი მიიღო, თავმჯდომარემ კრება ცოტა ხნით შესწყვიტა.

სხდომის განახლებისას, როცა კრების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ შემოსულიყო დარბაზში, თავმჯდომარემ საჩქაროდ დააყენა 5—10 მუხლის მიღების საკითხი და კიდეც გადმსწყვიტა 32 ხმით 2 წინააღმდეგ.

ამ დროს შემოდის დარბაზში ექიმი **ვ. მუსხელიშვილი**. როცა შეიტყობს საკითხი გადაწყდაო, აღელვებული, მოითხოვს სიტყვას. თავმჯდომარე ნებას არ აძლევს. ხმები უმრავლესობისა: საკითხი გადაწყვეტილია!

**ვ. მუსხელიშვილი**: (თავმჯდომარეს) ეს თავმჯდომარე კი არა, ღმერთმა უწყის რაა! და გადის.

ცოტა ხანს შემდეგ დარბაზში შემოდის კრების დაგვიანებული ნაწილი და აღელვებული მოითხოვს ხელახლა კენჭის ყრას. დარბაზში საშინელი ხმაურობაა. ხმები: თქვენ ისარგებლეთ ჩვენი აქ არ ყოფნით, რომ საკითხი თქვენებურად გადაგეწყვიტათ.

**მ. ჭავჭავაძე**: ეს არ ეკადრება თავ.-აზნაურობას!

საერთო ყვირილისა და ხმაურობაში ისმის ხმები: სირცხვილი, სირცხვილი თქვენ! მოგვეცით საშუალება ჩვენი აზრის გამოთქმისა!

**თავმჯდომარე** განმარტავს, რომ მას არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა, რადგან სამჯერ მოუწოდა მან კრებას—სხდომა იწყებაო და იგინი კი არ მოვიდნენ.

**ხმები:** თქვენ არ დაგინიშნავთ განსაზღვრული დრო დასვენებისათვის!

**თავმჯდომარე:** დიახ! ეს ჩემი შეცდომაა!

კვლავ ასტყდება საშინელი ხმაურობა; თავმჯდომარე ამაოდ ცდილობს სიჩუმის ჩამოგდებას.

**ექიმი მუსხელიშვილი** ლაპარაკობს, მას პირში ეცემა **ბეჟ. ხერხეულიძე**.

**მუსხელიშვილი:** თქვენ აქ ადგილი არა გაქვსთ!

ხმაურობა ორივე მხარეს იზრდება, თითქმის ხუთი წუთის განმავლობაში დარბაზში აღარა ისმის რა.

როცა სიჩუმე ოდნავ ჩამოვარდა, წამოდგა **ბეჟ. ხერხეულიძე** და სთქვა: ექიმ. მუსხელიშვილმა წამომძახა, თქვენ აქ ადგილი არ გაქვთო. ვთხოვ ამას ამიხსნას, თუ რატომ არ მაქვს აქ ადგილი.

**მუსხელიშვილი** სდუმს.

ხერხეულიძე იმეორებს კითხვას და როცა მუსხელიშვილისგან პასუხს ვერ ღებულობს, დამშვიდებული ამბობს: თუ არ მეტყვის, ნება მიბოძეთ ვუწოდო მას არამზადა! კვლავ დიდი ხმაურობა: ეს საშინელებაა! ეს კრების შეურაცხყოფაა! სადაა თავმჯდომარე? როგორ აძლევს ამის ნებას?

**გრ. დიასამიძე** (თავმჯდომარეს): აქ თქვენც შეურაცხყვეს და კრებაც!

**თავმჯდომარე** ცდილობს კრების დამშვიდებას: მოითმინეთ, მე გავარიგებ მაგ საქმესო.

**ხმები**: გააგდეთ ხერხეულიძე! დახურეთ კრება! სირცხვილო, სირცხვილო!

**გრ. დიასამიძე**. (კრებას მიმართავს): მე ვსთხოვ კრების უხუცეს წევრთ, საკადრისი მსჯავრი დასდვას თავ. ხერხეულიძის საქციელს!

**ექიმი მუსხელიშვილი** ცდილობს სიტყვის თქმას! ხერხეულიძეს იმიტომ მივმართე ისე, რომ იგი თავმჯდომარის მაგიერობას ეწეოდა, მაჩუმებდა. მე კი არა ვარ შეურაცხყოფილი, კრებაა; მე საკმაოდ ფაქიზი ვარ, რომ...

კვლავ ხმაურობა, აღარა ისმის რა.

**გრ. დიასამეძე**. მოაგონებს თავმჯდომარეს, რომ მან შარშანდელ კრებაზე ერთი წევრი გააძევა შეუფერებელი სიტყვისათვის და ახლაც იმავე ზომას უნდა მიმართოს.

**თავმჯდომარე** (მუსხელიშვილს:) თქვენ ჩემზე რა სთქვით?

**მუსხელიშვილი**. ბოდიშს ვიხდი, თუ ისე ვერ გამთვსთქვი ჩემი აზრი, როგორც საჭირო იყო. აღელვებული ვიყავი თქვენი უმართებულო მოქმედებით და მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ ვერ ასრულებთ თავმჯდომარის მოვალეობას, როგორც რიგია.

საერთო ხმაურობის დროს თავმჯდომარე კრებას ხურავს მეორე დღემდე.

### 3 ივნისის დილის სხდომა.

კრება 11 საათზე გაიხსნა. სხდომის დაწყებისას თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვით მიმართა კრებას: აგერ მერვე დღეა, რაც კრებები დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში ბევრი არა საკადრისი მოვლენა მოხდა. ამ წესით კრების ხელმძღვანელობა აღარ შემიძლიან. მე პასუხის მგებელი ვარ მთავრობის წინაშე და ამიტომ გაფთხილებთ, რომ თუ კიდევ განმეორდა ისეთი რამ რომლის მოწმენიც გუშინ ვიყავით, სასტიკ ზომებს მივმართავ. მე ძლიერი ნების პატრონი ვარ, როცა ერთს რასმე გადავწყვეტ, ვეღარ შემაშინებს თქვენი ყვირილი და მუქარა. რაც შეეხება გუშინდელ ინციდენტს, ჩვენ წუხელივე ვითათბირეთ და გამოვარკვიეთ ეს საკითხი. მდივანი წაგიკითხავთ დადგენილებას, მაგრამ გიცხადებთ, რომ ამ საკითხის შესახებ არავის კამათის ნებას არ მივცემ, გარდა ექიმი მუსხელიშვილისა, რომელმაც საგანგებოდ მთხოვა.

მდივანი კითხულობს დეპ. საკრებულოს დადგენილებას ხერხეულიძე-მუსხელიშვილის ინციდენტის შესახებ. დადგენილებიდან ირკვევა, რომ მუსხელიშვილს არ სდომებია ხერხეულიძის შეურაცხყოფა და თუ მან იხმარა ფრაზა „თქვენ აქ ადგილი არ გაქვსთო“, მხოლოდ იმ აზრით, რომ რა თქვენი საქმეა თავჯდომარის მოვალეობის მითვისებაო. მუსხელიშვილი ბოდიშს იხდის თავჯდომარის წინაშე, რომ ისე ვერ გამოსთქვა თავისი აზრი, როგორც მუსხელ. უნდოდა: მას სურდა არა თავჯდომარის შეურაცხყოფა, არამედ მისი უმოქმედობის აღნიშვნა. ხერხეულიძეს განუმარტავს, რომ, როცა მან მუსხელიშვილისაგან ორგზის შეკითხვაზე პასუხი ვერ მიიღო, აღელდა და იხმარა შეუფერებელი სიტყვა, რომელიც მასუკანვე მიაქვს და ბოდიშს იხდის საზოგადო კრების წინაშე.

ზოგიერთი ორატორი სიტყვას თხოულობს, მაგრამ თავჯდომარე ნებას არ აძლევს.

**ვ. მუსხელიშვილი**: ინციდენტი გამოირკვა. ხერხეულიძემ უკანვე წაიღო თავისი სიტყვა, რაც სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ჩემს ზნეობრივ სიფაქიზეს იგი ვერ მიეკარებოდა. მაგრამ საქმის ასეთი დასასრული ვერ გამათავისუფლებს იმ წყენისაგან, რომელიც გუშინ აქ მივიღე. ორი წელიწადია, რაც თქვენთან ვმუშაობ. მე არ მამოძრავებდა პირადი რამ ინტერესი. არამედ საქმის გულწრფელი სამსახური და სიყვარული. მე ხომ არა გთხოვთ ბოქაულობას, ან მომრიგ. შუამავლობის პროტექციას! ამ ორი წლის განმავლობაში ხშირად მქონია მოპირდაპირესთან შეტაკება აზრის სხვა

# წარსულიდან

## ჩემი მოგონებანი

1.

1885—1887 წ.წ.

II

უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე. რატომ? ამის გამო მაგონდება ერთი შეხვედრა. გიმნაზია რომ დავასრულე, შემთხვევა მომეცა ტფილისში ჩავსულიყავ. იქ ერთ ჩემს ნათესავთან ვალ. გუნია გავიცანი (არ ვიცი, არტისტი იყო მაშინ, თუ არა; ეს კი მახსოვს, არტისტულად იყო გამოწყობილი). როცა გაიგო, რომ იურიდიულს ფაკულტეტს ვირჩევდი, დაცინვის კილოთი მითხრა:

— მოხელეს კარიერისთვის ემზადებით, ყმაწვილო?

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, როგორი შეურაცხყოფა ვიგრძენი: მე რუსეთისა და სამშობლოს თავისუფლებაზე ვოცნებობდი, ის კი მოხელის კარიერისათვის ზრუნვას მწამებდა! მაგრამ ახალ ნაცნობებთან საშინელი მორცხვი ვიყავი და ამიტომ პასუხად მხოლოდ წავიბუტბუტე რაღაც საზოგადო განათლებაზე. და მართლაც, იურიდიული ფაკულტეტი მაშინ მიმაჩნდა მეცნიერების იმ ტაძრად, სადაც შეიძლება საზოგადო განათლების მიღება. საპოლიტიკო ეკონომია, სტატისტიკა, საფინანსო უფლება, საერთშორისო და სახელმწიფო უფლებანი—უსაჭიროეს მეცნიერებად მიმაჩნდა იმ მომავალ მოღვაწეობისათვის, რომელსაც ჩემს გუნებაში ვწირავდი თავს...

საუბედუროდ, უნივერსიტეტმა და უმეტესად იურიდიულმა ფაკულტეტმა ჩემი მოლოდინი ვერ გაამართლეს, ბევრი ილუზია მალე დამემსხვრა... რას წარმოადგენდა მაშინ უნივერსიტეტი? ის იყო ახალი წესდება შემოიღოთ (1884 წ). უნივერსიტეტში დაგვხდა სრული პოლიციური ორგანიზაცია: ინსპექტორი თანაშემწეებით, პედელები; ამ ორგანიზაციას, რასაკვირველია, არავითარი კავშირი არა ჰქონდა მეცნიერებასთან, მისი მოვალეობა იყო ახალგაზდობის ყოფაქცევისთვის ყურისგდება. ჩაგვაცვეს ფორმა, დაგვირიგეს მატრიკულები, შემოიღეს მრავალი ფორმალისტური შევიწროება; ყოველგვარი კავშირი, ზნეობრივი ურთიერთობა პროფესორთა და სტუდენტთა შორის მოსპობილიყო. კორპორაციული, ამხანაგური ურთიერთობა თვით სტუდენტთა შორისაც თანდათან დამხობილ იქნა. მეცნიერების ტაძარში გამეფდა უსულო ბიუროკრატიული ფორმალიზმი. ბევრი კარგი პროფესორი ვერ შერიგებოდა ახალ რეჟიმს და უნივერსიტეტებს სრულებით შორდებოდა. ოდესის უნივერსიტეტში მაშინ მხოლოდ ერთი მუჭა კარგი პროფესორი დარჩა: ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე რეინგარდტი, რეპიატოვი, პეტრიაშვილი და მელიქიშვილი; სამათემატიკოზე—კლასოვსკი, უმოვი და იაროშენკო; ისტ.-ფილოლოგიურზე—კირპიჩნიკოვი, უსპენსკი, კიპერტი, ტარაჩევსკი; ხოლო იურიდიულზე ერთად-ერთი მოხუცი ლეონტოვიჩი თუ არის მოსახსენებელი, როგორც ცნობილი მეცნიერი (რუსეთის უფლების ისტორიისა), დანარჩენები კი არც ლექტორებად ვარგოდნენ, საეჭვო ხარისხოვანი მეცნიერნიც იყვნენ. საპოლიტიკო ეკონომიას გვიკითხავდა დამბლად დაცემული უხელფეხო ფედოროვიჩი, რომელსაც თითქმის არც ენა ემორჩილებოდა, რის გამო ლექციის სმენა ტანჯვა იყო. ეს მეცნიერი მრავალს წელს კითხულობდა უცვლელად ერთსა და იმავე კურსს თავის ოთხ რვეულს; ახალი არაფერი სწამდა; მაგალითად, კარლ მარქსზე მეოთხე რვეულის ბოლო ფურცლებზე სწერდა: იმის შრომას მხოლოდ საგიტაციო ხასიათი ჰქონდაო და მეცნიერებისათვის არავითარი ფასი აქვსო. საძაგლობა ის იყო, რომ მას, ნამდვილად, სხვა აზრი ჰქონდა ამ მეცნიერზე და საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომიის ახალი მიმართულებაზე, რასაც ამტკიცებს მისი შრომა ღირებულების თეორიაზე და გამოკვლევა პეტერბურგის მუშათა ბინების შესახებ; ხოლო, თუ ჩვენ დამახინჯებულ კურსს გვიკითხავდა, აიხსნება იმ დროინდელ ოფიციალურ პროგრამის მოთხოვნითა და სარეაქციო მიმართულებით, რომელსაც მის მსგავსი „მეცნიერები“ ადვილად ემორჩილებოდნენ... ადვილად წარმოსადგენია, როგორ დაგვაკმაყოფილებდა ასეთი პროფესორი საოცნებო საგნისა, როგორიც იყო ჩვენთვის საპოლიტიკური ეკონომია! მეორე პროფესორი ჩიჟოვი (უფლების ენციკლოპედია და ფილოსოფია) ხომ საარაკო ვინმე იყო. მან მხოლოდ ერთი სამეცნიერო გამოკვლევის დაწერა მოახერხა და ფაკულტეტს წარუდგინა შემდეგის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ეს „შრომა“ ხელში ჩაუვარდა ადესაში ცნობილს ნაფიც ვექილს გუსაკოვს. ამან მაშინდელ ცნობილ „იურიდ. ვესტ.“-ის (მურომცევის რედაქციით გამოდიოდა მოსკოვში) ფურცლებზე გაარჩია ეს შრომა და აღმოჩნდა. რომ ჩიჟოვს რაღაც უმნიშვნელო გერმანული წიგნი გადაეთარგმნა და მიეთვისებინა. ჟურნალში პარალელურად იყო მოყვანილი ტექსტები. სკანდალი გამოვიდა თვალსაჩინო და ფაკულტეტმა უკანვე დაუბრუნა ჩიჟოვს მისი სადისერტაციო შრომა. ჩვენც მზად ვიყავით და დისერტაცია, რომ დაეცვა საშინელ სკანდალს აუტეხავდით „მეცნიერს“. ამ პროფესორის გამო მაინც მოხდა შემდეგ ერთი „სასტუდენტო ისტორია“, რომლის მსხვერპლი მე გავხდი და კინაღამ სრულებითაც არ მოვშორდი უნივერსიტეტს.

საქმე ასე იყო: მაშინ ახალ წესდების ძალით, სახელმწიფო ეგზამენები იყო შემოღებული, ხოლო კურსებზე დაწესებული იყო ეგრედ წოდებული რეპეტიციები—ზერელა ეგზამენი, რომლის დაჭერის შემდეგ „ჩაგეთვლებოდათ“ საგანი, ე. ი. პროფესორი აღნიშნავდა, რომ სტუდენტმა საგანი მოისმინა და ღირსია, ფაკულტეტის გათავების შემდეგ სახელმწიფო ეგზამენზე მიშვებისა. ასეთ რეპეტიციებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია იმ ხანებში და სხვა პროფესორები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ჩიჟოვმა კი ტანჯვად გადააქცია რეპეტიციები. საქმე ისაა, რომ ზეპირად, სიტყვასიტყვით უნდა გვეპასუხნა მისი კურსი; რადგან ზოგი ადგილები იმის ულაზათო ფრაზებისა გაუგებარი იყო, ბევრი ემზადებოდა უფრო კარგ სახელმძღვანელოთი (პროფ. რენენკამფისა). ზოგი თავის სიტყვებით უამბობდა მისსავე კურსს. მაგრამ ჩიჟოვი ამითი არ კმაყოფილდებოდა უეჭველად სიტყვა-სიტყვით თხოულობდა პასუხს. პირველ დღესვე 40-მდე სტუდენტი დაითხოვა—მეორედ მობძანდითო. მთელი კურსი (Iკურსზე 200-მდე ვიყავით, თუ არ დამავიწყდა) აღელდა; მეორე დღეს „კურილკაში“ შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ—ჩიჟოვის რეპეტიციებზე არ წავიდეთ, თუ დეკანი არ დაგვესწრება თქო. დეკანმა (მალინინი) უარი სთქვა: არცა მცალიან, არც ნება მაქვს პროფესორის საკურსო ეგზამენს დავესწროვო. ჩვენ აუდიტორიაშიარ შევსულვართ. შემობძანდა მარტო ჩიჟოვი და როცა ცარიელი აუდიტორია დახვდა, ინსპექციას მიმართა. „კურილკაში“ მაშინვე გაჩნდნენ ინსპექტორის თანაშემწეები და პედაგოგები და დაგვიწყეს თხოვნა—წადით აუდიტორიაშიო. როცა თხოვნამ არ გასჭრა, მუქარით დაგვიწყეს ლაპარაკი. ჩვენ ავტეხეთ ხმაურობა, სტვენა, ყიჟინა: вонъ полиція, вонъ шпіоны და სხვა. ხმაურობამ სხვა კურსებისა და ფაკულტეტის სტუდენტებიც მოიზიდა „კურილკაში“ და პატარა შემთხვევა „სკანდალად“ გადაიქცა. მოვიდა თვით ინსპექტორიც, ბალდინი. იმის დანახვაზე ახალგაზდობა უარესად აღელდა და ასტეხა საშინელი ყვირილი, რამაც სამ საათამდე გასტანა და მერე დავიშალეთ: ეგზამენი აღარ შესდგა. მეორე დღეს გავიგეთ რომ მთელი კურსი უნდა წარმდგარიყო საუნივერსიტეტო სასამართლოს წინაშე... გამოცხადდა გასამართლების დღეც. როცა ჩემი რიგი დადგა, შევედი სასამართლო ოთახში. მაშინ ბევრს არ ვიცნობდი პროფესორთაგანს და ამიტომ ვიცანი მოსულთა შორის მხოლოდ ჩვენი დეკანი მალინინი და რექტორი იაროშენკო; ინსპექტორი ბალდინიც იქ ბრძანდებოდა. რექტორი მეკითხება:

— თქვენ მიიღეთ მონაწილეობა არეულობაში?

— მივიღე.

— ესე იგი არ დაემორჩილეთ ინსპექციის კანონების მოთხოვნას, ყვიროდით და, ბოლოს, ძალით განდევნეთ ინსპექციის აგენტები დარბაზიდან?

— ინსპექციის მოთხოვნა კანონიერი არ იყო, ვუპასუხე მე. ჩვენსა და პროფ. ჩიჟოვს შორის უთანხმოება მოხდა. ჩვენ მასთან მოვრიგდებოდით, მაგრამ ინსპექცია ჩამოგვერია და თავის უტაქტობით უბრალო საქმე სკანდალად აქცია.

— დასწერეთ ეგ თქვენი ჩვენებაო, მითხრა რექტორმა და ერთი ფურცელი ქაღალდი მომაწოდა. უნდა აღვნიშნო აქ, რომ იმ დროს სერიოზულ რუსულ ჟურნალებში ბლომად დაიბეჭდა წერილები ახალ

და სხვაობის ნიადაგზე და ამავე ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ თქვენ (მიმართავს თავჯდომარეს) ვერ მოახერხებთ შეურაცყოფისაგან ჩემს დაცვას, რადგან, როგორც თავჯდომარე, მეტად სუსტი და უვარგისი ხართ. ამიტომ მე მივდივარ კრებიდან და დავბრუნდები მაშინ, როცა მოვახერხებ შავი კენჭი მოგცეთ, ან მაშინ, როცა თქვენ კრების თავჯდომარედ აღარ იქნებით. (გადის).

შემდეგ ამისა კრებამ განაგრძო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. ყველა მუხლი მიიღეს იმ სახით, როგორიც დებ. საკრებულოსაგან იყო წარმოდგენილი, გარდა § II, რომელიც ქართ. დრამ. საზოგადოებისათვის დახმარების მცემას ეხება. კრებამ უარჰყო ხარჯთაღრიცხვის წინადადება და თეატრის მართვა ძველი წესითვე ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობას გადასცა.

შემდეგი სხდომა დანიშნულია ორშაბათს ნაშუადღევის ორს საათზე როცა თანამდებობის პირთა არჩევნები უნდა მოხდეს.

## ავტომობილის დაღუპვა სამხედრო გზაზე.

27 მაისს დილის 6 საათზე გამოსულა კავკავიდან საკუთარი ავტომობილით ქ. კავკავის მოქალაქე პეტრე ვასილის ძე გრიგორიევი; მგზავრად ჰყოლია იქაურივე მოქალაქე ვინმე გამოჩენილი მდიდარი პრახანოვი; თან ახლდა 17 წლის ყმაწვილი მაქრო ბურდული, რომელიც მუდამ თან დაჰყავდა ხან და ხან მაშინისტობის აღმასრულებლად. იმ დღეს მაქრო ბურდული დაესვა უკან და თავისთან კი პრახანოვი გზაში გასართობად, როგორც მისი მეგობარი. მიუახლოვდა თუ არა სადგურს, ერთი ვერსის დაშორებით, უცბად ავტომობილი უნდა დასჯახებოდა მარცხნივ კლდეს, მაგრამ გრიგორიევს მიუბრუნებია მარჯვნივ, აქ ავტომობილი ველარ შეუჩერებია და გადასულა უფსკრულისკენ, იმისთანა უფსკრულში, რომლის მსგავსიც არ არის მთელს გუდაურის მთის გადასავალზე. ბურდულს და პრახანოვს მოუსწრიათ გადმოხტომა, პრახონოვი გადავარდნილა უფსკრულისკენ, მაგრამ იქვე გაჭედილა ხევში. ბურდული მიჰშველებია და რის ვაი-ვაგლახით დაუჭერია.

საბედნიეროდ მის ყვირილზე მიჰშველებიან გზის მუშები და ორივე გადაურჩენიათ. ავტომობილი კი ბურთივით მიგორავდა ძირს, ეხეთქებოდა კლდეებს რამოდენიმე ხანს და ბოლოს თითქმის სამასი საჟენის სიღრმეზე გაჩერდა ხევში. ავტომობილი ქუცმაცად იქცა და თვით გრიგორიევი ჩაკეპილ-ჩათეთქილი ძლივს-ღა ამოიტანეს მუშებმა საკაცით. წარმოიდგინეთ გულადობა ბურდულისა: ჯერ პრახონოვი გადაარჩინა, შემდეგ სხვა გზით გამოსდგომია ავტომობილს, გრიგორიევის მისაშველებლად. მეორე დღეს გვამის წასაღებად მოვიდნენ მისი სიმამრი და ნათესავები. ჯიბეში აღმოაჩნდა 34 მანეთი და სხვა ქაღალდები. საწყალს დარჩა ცოლი და ორი ქალი.

როგორც ამბობენ, სადაც ავტომობილი გადავარდა, იქ არც წინად და არც ახლა ყოფილა აშენებული კედელი, თორემ სულ ადვილად შეიძლებოდა ავტომობილის შეჩერება.

## რამოდენიმე სიტყვა „ქაკმენის სითხეზე“.

ევროპაში ვაზის ავადმყოფობა **„მილდიუ“** პირველად შენიშნულ იქმნა საფრანგეთში 1878 წელს. 1881 წელს ისე დააზარალა მან სამხრეთ და დასავლეთ საფრანგეთის ვენახები, რომ ყოველ მხრივ შეუდგნენ მის წინააღმდეგ საშუალების ძებნას და მალეც გამოიკვლიეს შაბიამნის შეუდარებელი თვისება მილდიოს სპორების დასახოცად. დღევანდლამდინ ხმარობდნენ შაბიამანს სხვა და სხვანაირად შეზავებულს. მაგრამ ერთის მხრივ: — რადგან ზოგიერთ ადგილებში, სადაც განსაკუთრებული ჰავა ხელს უწყობს მილდიოს განვითარებას—შაბიამანი ვერ მოქმედებდა სავსებით და მეორეს მხრივ მუშა ხელის გაძვირებამ აიძულეს ბევრი სპეციალისტი და მემამულე თავიანთი გამოკვლევანი უფრო წინ წაეწიათ და აღმოეჩინათ ისეთი საშუალება, რომელიც შეიცავდა არა მარტო მილდიოს, არამედ სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ საშუალებასაც. ამგვარი ცდა უმრავლესია და უმთავრესად კი გოგირდისა და შაბიამანის შეერთებულ ფორმულაზეა დამყარებული. ერთ-ერთ ამგვარ გამოკვლევათა ნაყოფია „ქაკმენის სითხე“-ც რომელმაც ამოდენა შეკითხვა-პასუხი გამოიწვია როგორც კერძოდ ისე ჩვენს გაზეთებში. ეს საშუალება გამოაქვეყნა ქაკმენმა (ფრანგია) 1906 წელს და პირველ წლებში საკმაოდაც გავრცელდა საფრანგეთის მევენახეთა შორის მხოლოდ არა **ყველა** კრიპტოგამიულ ავადმყოფობის წინააღმდეგ, როგორც ამბობს ქაკმენის ბროშიურა, არამედ მარტო მილდიოსა და ნაცრის (დიოიომის) წინააღმდეგ საბრძოლველად. მხოლოდ 1910 წელში, როცა ამინდებმა საიშვიათოთ შეუწყეს ხელი მილდიოს გავრცელებას და აუარებელი ზარალიც მიაყენა იქაურ მევენახეობას ქაკმენის სითხე სრულიად მიტოვებულ იქმნა (მით უმეტეს რომ შაბიამაეზე ნაკლები თუ არა! მეტი გავლენა არა აქვს მილდიოზე) და იშვიათად თუ და ხმარობს ვინმე. დღითი დღე სულ ახალ-ახალი საშუალებანი გამოაქვთ ბაზარზე, მაგრამ მათი შეურყეველი უპირატესობა შაბიამანზე არ არის ცნობილი. ამ ჟამადაც მეტი წილი საფრანგეთის მევენახეებისა მილდიოს წინააღმდეგ შაბიამანს ისევ თვისის პირვანდელი ფორმულით ხმარობენ (ბურგუნდიის და ბორდოს სითხეები) და თუ ახალ საშუალებათ ადგილს უთმობენ ამას მხოლოოდ ეს საცდელად. ქაკმენის სითხეს კი არამ თუ არ მოუპოვებია ამ 6 წლის განმავლობაში სპეციალისტთა და მევენახეთა ნდობა—პირიქით დაჰკარგა.

ჩვენში უფრო მიღებულია ეგრეთ წოდებული ბორდოს სითხე (შაბიამანს უზავებენ მის ნახევარ წონის დამწვარ კირს) და ცნობილიც არის საუკეთესოდ. უკეთესი იქმნებოდა რომ ჯერ-ჯერობით მაინც თავი დაგვენებებინა სხვა და სხვა „ქაკმენის სითხეებისთვის“ მეტადრე რომ სხვა სითხეებთან მას მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, და ჩვენშიაც მიტომ გაჩნდა, რომ თვითონ ქაკმენი შემძლებელი ვაჭარია და მისი პროტექტორი ბ-ნი ტიეზოც ხომ ავტორიტეტის მქონებელია ჩვენში. ამას გარდა შაბიამანთან შედარებით იგი ბევრად ძვირი ჯდება: ნორმალურ პირობებში შაბიამანი იყიდება ჩვენში 3 მ. 50—4 მ. ფუთი და ქაკმენის სითხე კი არა ნაკლებ 6 მანეთისა; ორ წამლობაზე, მაგალითად, თუ 1½ ფუთი შაბიამანი საკმარისია დესეტინაზე, 2½ ან სამი საჭიროა ქაკმენის სითხე.

უადგილო არ იქმნება აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში სრულიად შეიცვალა თეორია მილდიოს ფოთოლში გაჩენაზე. ამ დარგში ცნობილმა ციურიხის ფედერალურ საცდელ სადგურის დირექტორმა, პროფესორმა მიულერ-ტურგომ და მის შემდეგ სხვებმაც, შარშან გამოაქვეყნეს ფრიად საყურადღებო გამოკვლევანი, რომლითაც სრულიად უარჰყვეს აქამდის გამეფებული აზრი—ვითომც მილდიო უჩნდებოდეს ვაზის ფოთოლს ზედა პირიდან და დაამტკიცეს რომ იგი ჩნდება ვაზის ფოთლის ქვედა პირიდან (საიდანაც ბუსუსი აქვს) და ისე მრავლდება (იკვერცხება[*]). ეს პროფესორი უფრო შორს მიდის თავის გამოკვლევაში და ამტკიცებს, რომ ფოთლის ზედა პირზე განგებ დათესილ მილდიოს სპორებს არავითარი მავნეობის მოტანა არ შეუძლიანთო. ცხადია ეს გარემოება სრულიად შესცვლიდა თვით წამლის შესხურების პრაქტიკას და აი, უკვე ორი წელიწადია, რაც საფრანგეთში ვაზის ფოთლის ორივე მხარეს სწამლავენ უმთავრესად კი ქვეშიდან ე. ი. ბუსუსიან პირიდან.

ჩვენი სარიანი (ჰიგო შედგმული) ვენახების ქვეშიდან შეწამვლა ეხლანდელ წამლის დასასხმელ იარაღით ძნელია (თუმცა შესაძლებელია) და მავთულზე გაბმულისა კი უფრო ადვილი. დასასხმელი აპარატები ისევ ძველები შეიძლება იხმაროს მხოლოდ „პარი“-ს გამოცვლა იქმნება საჭირო თუმცა ჯერ-ჯერობით შეიძლება ძველი ჩვეულებრივი (ვერმორელის ორ-ხაზიანი) „პარი“-თაც წავიდეთ იოლას—ვიდრე სხვა, გაუმჯობესებულ, ახალ წამლობისათვის გამოსადეგ იარაღს მოგვაწვდიან იმავ საფრანგეთიდან. იქ უკვე იყიდება „პარი“ სხვა და სხვანაირი მოდელი მაგრამ უწუწო კი ჯერ არა.

ფოთლის ქვეშიდან წამლობის შემოღებით, ქაკმენის სითხე უფრო დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას რადგანაც ნაცრის, ფოთლის ზურგის მხრიდგან წამლობას არა აქვს ის გავლენა რაც საჭიროა.

**გ. წინამძღვრიშვილი.**

ს. ახაშენი.

## გიორგი სააკაძის

### მოქალაქეობის დამფასებლების საყურადღებოდ.

ყოველ ისტორიულ პირის დაფასებას წინ უძღვის მის დროის მასალების შესწავლა, გამორკვევა ყოველის წვლილისა, გაშუქება მრავალგვარ კითხვისა, გარემოებისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამგვარი შესწავლა აკლია არა თუ იმ დროს, როდესაც ცხოვრობდა სააკაძე, არამედ თუ გინდ იმ დროსაც, როდესაც ბრწყინავდნენ ღვთივ დიდებული თამარ ნეტარი. შოთა, იოანე მარუშიძე, ცოტნე დადიანი და მრ. სხვანი. საქმე ბევრია. გამკეთებელი სულ მცირე და მკითხველი—უფრო ნაკლებ. ამიტომაც ნაადრევია ჯერ-ჯერობით ჩვეულებრივ მკითხველის მიერ საკუთარის ძალღონით გასამართლება ამა თუ იმ ისტორიულ პირისა, და მით უმეტეს იმ დროისა, როდესაც გიორგი სააკაძეს სიმამრი ნუგზარ ერისთავი „სისხლის წვიმებს“ წვიმებდა, როდესაც სამეგრელო დაგურია ყოველ წლივ 10,000—15000 სულს მოძმეს ტყვედ ჰყიდნენ, როდესაც ათაბაგი „ფაშობაში“ ჰყიდდა თითქმის 200,000 ქართველობას, სპობდა და ანგრევდა აქაურს მამაპაპურს შეძენილობას, როდესაც ჩვენივე კაცები და მათთან სააკაძეები ემსახურებოდნენ ქართველთა სისხლის მწოველს შაჰაბაზს არა თუ მარტო სპარსეთში, არამედ თვით საქართველოშიაც, რომლის ალმ. მხარე მან დაარბია და აჰყარა.

საქართველო დაღუპეს არა ჩინგისხანებმა და ტამერლანებმა, არა 1800 წლ. გმირებმა, არამედ 1614—1629 წლების შორის განუქვრეტელ ქართველებმა.

ჩვენ ხელახლა შევისწავლეთ ეს შავ-ბნელი ხანა და ჩვენი აზრი გამოვთქვით საკმაოდ ვრცელს გამოკვლევაში „ბოროტი და დამღუპველი მკსინვარება საქართველოში“, რომელიც, იმედია, მალე დაიბეჭდება. ჩვენი წინანდელი ნაწერ-ნათქვამი არა თუ მარტო შეურყეველი, შეუბღალავს წყაროებზე დაფუძნებული გამოჩნდა, არამედ მას ერთი ათად ახალი საბუთებიც მიემატა.

შეუცვლელად დარჩა აგრეთვე ყოველივე ის, რაც სხვა და სხვა სანდო წყაროებიდამ გვქონდა ამოღებული სააკაძისა და მის დროის კაცების შესახებ, თვით ფრაზაც კი **„კახეთიც ხომ ამოვწყვიტეთ** და ქართლელნიც იქ (სპარსეთს) ჩავგვაროთ“ (ასეა „არჩილიანის“ უძველეს ნუსხებში 1701 წლისა, 1706 წლისა და სხ.).

რაღა თქმა უნდა, ფიორი სიმართლეც არ არის იმ თქმა—[illegible], რომ, ვითომ, „ჯანაშვილები და კამპანია“ სააკაძეს, „გმირს ჰანნიბალს“ ამცირებდნენ. სააკაძეს „ჰანნიბალობას“ არა „ჯანაშვილები და კომპანია“ ედავება, არამედ თვით მისი ნამოქმედარი, რომელსაც შავად აჩვენებს ყველა თანამედროვე წყარო, თვით მისის შვილიშვილის იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანიც“ კი.

მომყავს ჩვენის „კომპანიის“ მონაწილეთაგანის აზრიც „ჰანნიბალის“ შესახებ:

აკადემიკოსი მარი **ბროსსე**: „ამგვარად მოკვდა სააკაძე ორჯელ ღალატის მტვირთველი, სჯულის უარმყოფელი და სამშობლოს დამღუპველი“.

სიმონ **ლოლობერიძე** (ბროსეს მიერ „საქართველოს ისტორია, გამოც. **ნიკო ლოლობერიძისა**, გვ. 30): „ყველა მაშინდელნი მწერალნიც ერთხმად აღიარებენ, რომ თუმცა სააკაძე ნიჭით და მხნეობით შესანიშნავი კაცი იყო, მაგრამ **მუხანათი**, გამცემი, **მოღალატე, რენეგატი** იყოვო. მის სახელს **ზიზღით** იხსენიებს ისტორია“...

ბ-ნი ბათუმელი კი კადნიერად გაიძახის: ჯანაშვილები და კამპანიაო“. აქ ისევ მეორდება ის ჰანგი, რომელიც დევიზად ჰქონდათ სააკაძის დროის დიდებულებს: „უჩემოთ ვინ იმღერეთო!“ „მე იალბუზი, შენ კი ბუზი“. დევები იკიდებოდნენ და კოზაკი შუაში იჭყლიტებოდა, და გაიჭყლიტა კიდეც.

ასრევე მღერის ბათუმელი „დამფასებელიც“. ბროსსე, ლოლობერიძე, იოსელიანი, ვახუშტი, დელლავალლე (1627 წ.), არაქელი (1653 წ.), არჩილ მეფე და სხ. თურმე სხვა არა არის რა, თუ არ „ჯანაშვილების კამპანია“, რომელსაც, ალბად, დოუხვრეტია და ბალახი უქოვნია, რომ „ჰანნიბალი“ მოღალატედ ჩაუგდია ანდა, თუ გინდ, შორსმხედველობის მოკლებულ კაცად, რომელიც „მოატყუა“ ყაენმა **რვა გუდა** ოქროთი და სხვა და სხვა დაპირებით.

ისტორიაში რა საქმე აქვს დაჟინებას, სიამაყეს, „უჩემოთ ვინ იმღერეთა“-ს! დაამტკიცეთ და ჩვენ დიდის სიამოვნებით მოგყვებით, ვინაითგან უსიამოვნო წარსულში ჩვენს გულს შეჰგრავს, ანაღვლიანებს, სასიამოვნო—ამხნევებს, აყვავილებს.

**მ. ჯანაშვილი.**

## საქართველოს ექსარხოსის მოგზაურობა.

საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი 21 მაისს გამოემგზავრა ტფილისიდან დუშეთის მაზრაში სამხედრო გზაზედ მდებარე ეკლესიებისა და სკოლების დასათვალიერებლად. თან ახლდნენ: ტფილისის ვიცე გუბერნატორი, გუბერნიის ექიმი ბ. ქიქოძე, გუბერნიის სამართველოში მოსამსახურე მოხელეთაგანი დუშეთის მაზრის უფროსი, სიონის ტაძრის დეკანოზი ა. თოთიბაძე და მთავარ-დიაკონი სამადალაშვილი. ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, რომ ორმა ავტომობილმა გრიალით მოიტანა საბ. ფასანაურში. ფასანაურის ეკლესია მორთული იყო ყვავილებით, გალავნის შესავალ კარებში გაკეთებული ჰქონდათ გვირგვინი წარწერით: „ისპოლაეტი დესპოტა“. ადგილობრივი სკოლის მოსწავლე ბავშვები გზა და გზა უფენდნენ ყვავილებს. მიეგება მრავალი ხალხი; როგორც წარმომადგენელნი აგრეთვე სოფლელი ხალხი, მათ შორის ოთხი მღვდელი, ფასანაურის ეკლესიის დროებით გამგე მღ. ალექსანდრე კავკასიძის მეთაურობით რომელმაც შესვლისათანავე ეკლესიაში, სიტყვა უთხრა ეგზარხოსს, რომელშიაც მადლობას უძღვნიდა ნახვისათვის და სთხოვდა მამობრიული დახმარებას ბნელში მყოფ ხალხში სწავლის შეტანას. გალობდა სკოლის გუნდი მასწავლებელ დარია ლუკიანოვის ლოტბარობით. ეგზარხოსმა მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხადა, უსურვა მხნეობა და მტკიცედ ყოფნა სარწმუნოებაზე. ბავშვებს და წერა-კითხვის მცოდნე ხალხს წიგნებს ურიგებდნენ. ნაშუადღევის მესამე საათზე ეგზარხოსი გაემგზავრა ყაზბეგისკენ. გზა და გზა ინახულა ეკლესიები: ჩირიკისა, ნადორევისა, მლეთისა, კობისა, სიონისა და ბოლოს მივიდნენ ყაზბეგშიაც. მლეთის ეკლესიაში დიდ ხანს ესაუბრა ხალხს, მეტად ასიამოვნა ხალხის სიმრავლემ, ეკლესიის ძველი ნაშთების ნახვამ, მგალობელთა გუნდის მშვენივრად გალობამ ქართულ-რუსულად ადგილობრივი მღვდლის ალექსანდრე კავკასიძის ლოტბარობით, რისთვისაც რამდენჯერმე მადლობა მიიღო მ. კავკასიძემ. მოეწონა აგრეთვე სასწავლებლის და კრებულისთვის ახალი შენობა.

ხალხმა პურ-მარილი მიართვა და სთხოვეს დახმარება გაუწიოს ერთ კლასიან სკოლის ორ კლასიანად გადაკეთებისა და ორი მასწავლებლისთვის ორი ოთახის გაკეთებისათვის ფულის გადადება. ეგზარხოსს ეს თხოვნა ძალიან ესიამოვნა და დაჰპირდა ას ოც თუმანს ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მოეწონა აგრეთვე ყაზბეგის სკოლის გაკეთებული შენობა. ესიამოვნა ხალხის დახვედრა და [illegible] ბი წარმოსთქვეს [illegible] და [illegible] მაც აუხსნა ხალხის ჭირ-ვარამი და სთხოვა მოწყალე თვალით მათზე მიპყრობა. მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მღვდელს მ. ბართლომე ღუდუშაურს სკოლისა და ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესობის მუშაობისთვის. მოეწონა აგრეთვე ჩირიკის ეკლესია, მადლობა უძღვნა მღ. მოსე კავკასიძეს და ლოცვა კურთხევა გადასცა მედავითნე გრიგოლ ბუჩუკურს მაღალი ხმით გალობისათვის. დაჰპირდა აგრეთვე ფულით დახმარებას ნადორევის ეკლესიის გასადიდებლად, რომელ ეკლესიაშიც არ მოთავსდება ხუთი კაცი და წირვა-ლოცვაც მასში არ შეიძლება. 22 მაისს ეგზარხოსი დილის რვა საათიდან დაბრუნდა უკან და თავისი ამალით ანანაურიდან ცხენებით გაემგზავრნენ თიანეთს.

**ლოროსხეველი.**

## სტამბოლის

### ქართველ კათოლიკ. მონასტერი

აგერ ერთი წელიწადია რაც აწეწილია მონასტრის საქმეები! ერთი წელიწადია რაც ახალ წინამძღოლის რჩევა-ძიებაში არიან და როგორც იქნა ეღირსენ! ეს ცვლილება მეტად საყურადღებო და სასიამოვნო მოვლენაა და ამიტომ სიამოვნებით ვაუწყებთ ჩვენს საზოგადოებას.

მოგეხსენებათ, ზემოხსენებულ მონასტერს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საქმიანობისათვის სტამბოლში და საზოგადოდ ოსმალეთში. ამ თვალსაზრისით რომ შევხედოთ, დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმასაც თუ ვინ და რა რწმენა-იდეის ადამიანი იქნება მონასტრის სათავეში.

მართალია წინამძღოლს დამოუკიდებლად ყველაფრის გაკეთება არ შეუძლია, მართალია რომ ისიც განსაზღვრულია, მაგრამ პირადადაც ბევრი უფლებები აქვს და ამიტომ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიან. ამასთან უნდა დაუმატოთ, რომ თვითის მმართველი წრე, რომელზედაც არის დამოკიდებული წინამძღოლი, ლიბერალურია და ეროვნების დამცველი; წრის უმეტესობა, რომელმაც აირჩია ახალი უფროსი—ახალგაზრდობაა და როგორც წინადაც აღვნიშნავს, შესწევს საკმაო ძალა ეროვნულ და საეკლესიო საქმიანობათათვის!

აქ მრავალი საქმეა გასაკეთებელი და გამკეთებელი კი ცოტა და მონასტრის მოწინავე წრე, რომელიც სიტყვით მაინც მოტრფიალე იყო ეროვნებისა, დღეს, როცა მმართველობა ხელთ იგდო, ფრთხილად უნდა იყოს და არ უნდა დაივიწყოს მისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე.

ახლა ჰმართებსთ გონების გამჭრიახობა და ხასიათის სიმტკიცე, რათა არ ჩაიხჩვენ იმ წუმპეში, რომელიც დააყენა ძველმა თაობამ!

ახალი წინამძღოლი პატრი პიო ბალიძე არის ახალგაზრდა, ქართულ-ფრანგულად განათლებული და სამშობლოს გულწრფელი გულშემატკივარი.

აქ არ შეუდგებით ხოტბა-შექებას, მხოლოდ ვიტყვი, რომ მაზე უკეთესს მონასტერს ვერ იშოვნიდა და ამიტომაც მოწინავე საზოგადოებაში დიდი სიხარული გამოიწვია, როცა გავიგეთ მისი დამტკიცება რომის პაპის მიერ. დამტკიცებულია 6 წლის ვადით და ყველა იმ უფლება-ღირსებებით, რომლითაც აღჭურვილი იყო თვით დამწყობი დიდად პატივცემული და შორსმჭვრეტელი აბბატი პეტრე ხარისჭირაშვილი.

უსურვებთ მამა პიო ბალიძეს დღეგრძელობას და კეთილმოღვაწეობას, რათა დაიმსახუროს ღირსეული სახელი გულშემატკივარ ქართველისა, წინააღმდეგად ზოგიერთ წინამორბედ წინამძღოლებისა, რომელთა სახელის ხსენებას და დახასიათებას აქ არ ვკითხულობთ! იმედია ჩვენი ცხოვრების მემატიანენი კარგად დააფასებენ მათ ბრწყინვალე მოღვაწეობას და შესაფერის ეპიტეტითაც შეამკობენ მათ სახელს.

**დავით ჩიქოვანი.**

## ერწო-თიანეთის ამბები.

22-ს ამ თვეს თიანეთს ეწვია, საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი. არქიელი (ეგზარხოსი) აქეთ, აგერ 45 წელიწადზე მეტია რაც არ უნახავთ, 45 წლის წინედ ყოფილა აქეთ მაშინდელი ეგზარხოსი ევსევი.

თიანეთის მაზრის უფროსი, ორი მომრიგებელი შუამავალი, ჭავჭავაძე და ბარათაშვილი, ბოქაული ვაშაძე და ბლაღოჩინი მ. გიორგი ინაევი სტრაჟნიკებით მიეგებნენ სოფელ ჟინვალში; აქ ბლაღოჩინი ინაევი, სიტყვით შეეგება ეგზარხოსს და შემდეგ ცხენებით გამოემართნენ თიანეთისკენ. წინა დღეებში წვიმები იყო და ბოდავზე გადმოსავალი ტყიანი გზები გაფუჭებული იყო. ეგზარხოსმა ცხენით იმგზავრა და საათის

---

საუნივერ. წესდების წინააღმდეგ. ერთხმად იწუნებდნენ, სხვათა შორის ინსპექციის ინსტიტუტს და წინასწარმეტყველებდნენ, ინსპექცია სულ არევ-დარევს საკადემიო ცხოვრებასაო. ეს წერილები წაკითხული ჰქონდა და ზემოხსენებულ ჩვენებას კიდევ დაურთო სხვა და სხვა მოტივები ინსპექციის გასამტყუნებლად... რასაკვირველია, ამ გულუბრყვილო ალსარებით დიდი საბუთი მიეცი ხელში სასამართლოს ჩემ წინააღმდეგ. მერე გავიგე, ჩემი დათხოვნაც-კი უნდოდათ თურმე მაშინ უნივერსიტეტიდან და მხოლოდ ჩვენის ძვირფასი მფარველის, დაუვიწყარ ვ. მ. პეტრიაშვილის მარჯვე მეცადინეობის წყალობით გადავრჩი. საერთოდ „საქმე“ მსუბუქად გათავდა: ასამდე სტუდენტს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს, ექვს კაცს კი ორი დღით კარცერში დაპატიმრება და გაფრთხილება, რომ, კიდევ ერთი ამისთანა ისტორია და, უნივერსიტეტს თავი უნდა დაუკრათო. ამ ექვს სტუდენტთა შორის მეც ვიყავი. ამრიგად მე მხვდა ბედნიერება—„შეკურთხებინა“ ეს ახალი დაწესებულება რუსეთის უნივერსიტეტისა!

„კარცერი“ წარმოადგენდა მშვენიერ, სუფთა, ნათელ ოთახებს, რკინის კროვატებით და წმინდა ლოგინებით და სხვა საჭირო ავეჯითაც. დილას და საღამოს ჩაის გვასმევდნენ. და მცირე საუზმეს გვაძლევდნენ, შემდეგ ორი თავი სადილი- ამისთანა ოთახი, მოვლა და საჭმელი, გარედაც არა ჰქონია სტუდენტების უმრავლესობას... ერთი შემთხვევაც, რომ მოვრჩე ამ „ისტორიას“. თითო ოთახში ორ-ორი უნდა მოვთავსებულიყავით, რადგან „კარცერისთვის“ სამი ოთახი იყო მხოლოდ. კანცელარიაში მომვარდა ერთი სტუდენტი (დასჯილთაგანი) და მკითხა, გიორგი თქვენა გქვიათო. როცა ვუპასუხე დამეძრიჯა: გთხოვთ, მე და თქვენ ერთად ჩავსხდეთ. ჩემს პასუხს არც-კი დაუცადა, მივარდა ინსპექტორს და სთხოვა: ჩვენ (თითი ჩემკენ მოიშვირა) ერთად დაგვამწყვდიეთო. როცა დაგვამწყვდიეს, სტუდენტმა ამოიხრა და „слава Богу“ დასძახა. ბოლოს ასე ამიხსნა თავისი საკვირველი საქციელი:

— როცა კარცერში დასაპატიმრებელ სტუდენტთა სია წავიკითხე, გული გამისკდა. ჩემს მეტი ყველა ურიები იყო! არაფრისთვის არ ჩავჯდებოდი ურიებთან... უნივერსიტეტიდან დათხოვნას ვირჩევდი... როცა სია ხელმეორედ გადავიკითხე, თქვენმა სახელმა „გიორგიმ“ მიიქცია ჩემი ყურადღება და მაშინ გვარზედაც ვიფიქრე—ეს კავკასიელი უნდა იყოს მეთქი და ცოტათი გული დავიმშვიდე. ეს პირველი იუდოფობი იყო მე რომ გავიცანი: მანამდე ამ ჯურის ხალხს არ შევხვედრივარ. ორი დღის განმავლობაში სული შემიწუხა „ჟიდ“-ების გინებითა და წყევლით. მისი გვარი გოფმანი იყო და თუ ახლაც ცოცხალია, უეჭველია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი იქნება, თუმცა შთამომავლობით გერმანელია...

ჩიჟოვსა და ფედოროვიჩის შემდეგ მაგონდება სახელმწიფო უფლების პროფ. სოკოლოვსკი. სახელმწიფო უფლება მაშინ აკრძალული მეცნიერება იყო. ცნობილია, რომ იურიდიულ ფაკულტეტის პროგრამის საფუძველნი 1884 წლის წესდების მიხედვით შედგენილი იყო კატკოვის მიერ. ამ პროგრამის ძალით, სახელმწიფო უფლება საკონსტიტუციო ქვეყნებისა გამორიცხული უნდა ყოფილიყო კურსიდან; რჩებოდა მხოლოდ სახელ. უფლება რუსეთის სახელმწიფოსი. მთელი ყურადღება ამაზე უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ „მეცნიერებას“ დაემტკიცებინა აბსოლუტიზმის აუცილებლობა რუსეთისთვის და ამასთანავე ჩაენერგა მსმენელთათვის დესპოტიზმის და აბსოლუტიზმის არსებითი სხვა და სხვაობა, განსხვავება. პროფ. გრადოვსკის ცნობილი კურსი „სახელმწიფო უფლება ევროპის უმთავრეს ქვეყნებისა“ იმ დროს თითქმის აკრძალული წიგნი იყო.... პროფ. სოკოლსკი გულმოდგინე ამსრულებელი იყო ამ დირექტივებისა და ისეთ დამახინჯებულ რასმე გვიკითხავდა, რომ ფილოსოფიკაცია ჩვენთვისაც ცხადი იყო... საფინანსო და საპოლიტიკო უფლებას გვიკითხავდნენ ჯერ სულ ახალგაზრდა და გამოუცდელნი პრივატ-დოცენტები ილოვაისკი და შეიმინი. პროფ. აზარევიჩი ცნობილი იყო, როგორც კარგი რომანისტი და ლექტორიც არ იყო ურიგო, მაგრამ მალე ვარშავაში გადაიყვანეს. უფროს კურსებზედაც არ იყო უკეთესი პროფესორები გარდა ბარაცკოვსკისა, ცნობილი მცოდნესი სამოქალაქო პროცესისა და უფლებისა....

ასეთი პროფესორები, რასაკვირველია, ვერ წაგვახალისებდნენ, ვერ გაგვიტაცებდნენ, პირ-იქით, მეცნიერებისადმი იმ ხალხისაც გვიკარგავდნენ, გიმნაზიდან რომ ჩამოგვყვა... საზოგადოთ რუსეთის უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტზე იმ დროებში ჰსუფევდა უსულო დოგმა ცხოველმყოფელ მეცნიერების მაგიერ, ადესაში კი განსაკუთრებით... ამრიგად მეც მალე ამიცრუვდა გული ამ მეცნიერებაზე და ჩემი საოცნებო საგნები საპოლიტიკო ეკონომია, სტატისტიკა, ფინანსები, სახელმიფო უფლება, და სხვა—ოფიციალურ განმარტებაში სიყალბედ მომეჩვენა. აუდიტორიიდან გავრბოდით და ხშირათ ლექციებზე მორიგეობით ათ-ათი კაცი იჯდა ხოლმე ფორმისათვის, რათა ცარიელი არ დახვედროდათ პროფესორებს დარბაზი და ლექცია შემდგარიყო. მე პირადათ უფრო ხშირად დავიარებოდი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტის ზოგიერთ ლექციაზე (უსპენსკი, ტრაჩევსკი, კირპიჩნიკოვი და სხვანი). ხოლო იურიდიულ მეცნიერებისადმი ცნობის მოყვარეობას ვაკმაყოფილებდით, ვისაც გვსურდა, უნივერსიტეტს გარეშე. ჩვენ პროფესორების „კურსებს“ ძალაუნებურად გავიხსენებდით ხოლმე მხოლოდ რეპეტიციაეგზამენების წინ და რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვიზეპირებდით...

(შემდეგი იქნება)

**გ. ლასხიშვილი.**

---

[*] იგივე თეორია აღიარა 1887 წელშივე საფრანგეთის ცნობილმა სწავლულმა მილარდემ მაგრამ იმ ჟამად უყურადღებოდ დასტოვეს.

ხუთზე ზემო თიანეთის (ტუშურებში) ეკლესიაში მიბძანდა. აქ, სამაზრო სკოლების მეთვალყურე მ. გ. ჭინჭველაძე, სიტყვით შეხვდა. შეხვედრ პარაკლისის შემდეგ სკოლის მოწაფენი გამოსცადა და გამოემართა თიანეთისკენ. რვა საათი იყო, რომ ეგზარხოსი მობძანდა თიანეთის ეკლესიაში. აქ, საბლაღოჩინოს სამღვდელოება შემოსილი, გლეხობა და თიანეთის მოხელენი შეხვდნენ. შესახვედრი პარაკლისის გადახდის შემდეგ, საზოგადოებას სიტყვით მიმართა. სიტყვის შემდეგ ყველანი დალოცა, ხელზე იმთხვია და მიბრძანდა მისთვის მომზადებულ ბინაზე, თ. ვახტანგ ბარათაშვილის სახლში. 23-ს დილით ეგზარხოსმა, თიანეთის სკოლა დაათვალიერა, მოწაფეები გამოსცადა და მიიღო სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნები; შემდეგ, თავის გამცილებლებით, ცხენზე მჯდომმა, ფოტოგრაფიული სურათი გადიღო და გაემგზავრა ახმეტისკენ. ერწოსკენაც ელოდენ ეგზარხოსს, მაგრამ ლოდინი გაუცრუვდათ.

ერწო-თიანეთის მიდამოებში ხეხილი ხშირი არ არის. სამაგიეროდ წიფელი და მუხა დიდი იმედია ხოლმე მცხოვრებთათვის, ღორის გასასუქებლად, მაგრამ. მკაცრმა აპრილის შუარიცხვებმა, სულ მოსპო მუხა და წიფელი, რომელიც მოშუშა სიცივემ და გახუხული ხეები დარჩა...

ცუდი დღე დააყარა წლევანდელმა გაზაფხულმა ფუტკარსაც, თითქმის სულ გასწყვიტა. ზოგ-ზოგი ფუტკრის პატრონები ასე ხსნიან ფუტკრის დახოცვის მიზეზს: გამოსულს დამძრალ მინდვრის და ტყის ყვავილს, მშვენიერი ფუტკარი როხვდა თან და თან გასწყდა. ეტყობა დამძრალ ყვავილის თაფლმა აწყინაო...

მაისის ნიაღვრებმა, დიდი ზარალი მისცა აქეთ, მომეტებულად, სოფ. ლიშოს. ბევრგან, შენობები და წისქვილებიც წაიღო ნიაღვრებმა.

როგორც ხევსურეთიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, იქ ხიდები აღარაად დაუყენებია სულ დაუგლეჯია წყალს.

**ქართველი ოსებში ნამყოფი.**

# ხალხური ზღაპრები

## ბერი ვეზირის შვილი

(დასასრული)

ვაჟი არ დასთანხმდა და არც ხმას იღებდა:

'შენ ძმა და მე დაო;

არც მაშინ გასცა ხმა. ბოლოს გაიფიცა ღმერთი. მოეხსნა ვაჟი. თინათინმა უთხრა:

— რა კაცი ხარ ისეთი, რომ ყოველივე დაბრკოლება გადალახე და მე ხელში ჩამიგდეო. ეხლა მაინც შენ ქმარი და მე ცოლიო. ვაჟმა უთხრა:

— ცოლი არ მინდა, რადგან ის უკვე მყავსო.

— ცოლად თუ არ გინდოდი, რისთვის მოდიოდი ჩემთანო.

ვაჟმა მიუგო:

— მე შენთანა არ წამოვსულვარ, არამედ მინდა ჩავიგდო ხელში ხაზანდარი, რომელიც აქეთკენ არის სადღაცო.

თინათინმა მიუგო:

რაკი ასე არის საქმე შენ ძმა და მე დაო, იმას გაპოვნინებო: აქედან ხაზანდარი შორს არ არის. ყოველ დილაობით ამოვა თუ არა მზე ის ტღვაში ვარდება საბანაოდ. იმდენი ეცადე, რომ გაიძრობს თუ არა ტანისამოსს, მოჰპარე და გამოიქეცი, მოდი აქ და დანარჩენს მერე მოვახერხებთო, რადგან ქალი თითონ აქ მოვაო.

ვაჟიც დარიგებისამებრ მოიქცა. ამოვიდა თუ არა მზე, ხაზანდარმა გაიძრო სამოსელი და გადახტა წყალში. ვაჟმა დასტაცა ხელი ტანისამოსს და მოკურცხლა თინათინსკენ. ხაზანდარმა ბევრი უძახა: შენ ქმარი და მე ცოლიო, ძმობაც შეჰფიცა; არაფერს ახდა. მერე დაუძახა: ერთი მაინც შემომხედეო. მიიხედა თუ არა ვეზირის შვილმა, იმ წამსვე ქვად იქცა. ბევრი უცადა თინათინმა, კვირა გავიდა, თვეც მეორე მიჰყვა კიდევ, მაგრამ ძმობილი არსად სჩანდა. ბოლოს ლოდინით მოთმინებიდან გამოსულმა ახადა ტახტს თავი, ჩავიდა იქიდან ორმოში. იქ მამა ჰყავდა მეტად ბებერი დამწყვდეული. უსინათლო და ყრუ. თინათინმა გაზი მოუჭირა ცხვირში და ხმა მაღლა ჩასძახა.

— ერთი ძმობილი მყავდა ხაზანდარის მოსატაცად წავიდა და ამდენიხანი არ სჩანს, თუ იცი რა დაემართაოდაო?

მოხუცმა ვერ გაიგონა და კიდე გაუმეორებინა. მაშინ უთხრა: ის წყეული ქვად აქცევდაო. რომ გაუშვი რათ არ დააბარე რომ უკან არ მიეხედა?

რა ეშველებაო?-ჰკითხა თინათინმა: რაო და იქვე რომ ბალახია ის გაწურეთ, ნაწური თვალებზე მოუსვით და გაცოცხლდებაო.

მართლაც მოწყვიტა თინათინმა ბალახი, წავიდა თითონ გასაცოცხლებლად, მაგრამ იმდენი გაქვავებული კაცები ნახა, რომ გამოცნობა მეტად გასაჭირი იყო. ბევრს სიძველისგან ხავსი მოჰკიდებოდა. თინათინმა გამოარჩია ქვა, რომელიც უფრო ახლოდ გამოიყურებოდა და გადუსვა თვალებზე წვენი. ვაჟი იმწამსვე გაცოცხლდა.

თინათინმა დაბარა, რომ პირველად დამავიწყდა მეთქვა შენთვის, უკან არ მიგეხედნაო. ეხლა იცოდე, რაც უნდა გეხვეწოს, უკან ნუ მიიხედავ, პირდაპირ წამოდიო.

ვაჟი წავიდა ხაზანდარისკენ. გადავარდა თუარა წყალში, ვაჟმა დაავლო ხელი ტანისამოს. და გამოიქცა უკან. ბევრი ეხვეწა ქალი მიეხედნა უკან, მაგრამ ვერ გასტეხა მისმა მუდარამ. მოვიდა ვაჟი თინათინთან თუ არა ხაზანდარიც უკან მოჰყვა. გაკვირვებულმა უთხრა: ათასი წელი ვარ მე იქ მზის ძირში, და ჯერ სულიერ არსებას ვერ დავუძლევივარ და რადგან შენ ასეთი მოხერხებული ხარ, შენ ქმარი და მე ცოლიო. ვაჟმა მიუგო ცოლი უკვე მყავს, მხოლოდ დათ კი მიგიღებო.

ეხლა დაიწყეს ზრუნვა მაზე თუ ვადამდე როგორ მისულიყო ვაჟი ცოლთან, რადგან სამი წლის გასვლას ორი დღე აკლდა და სავალი გზა კი წელიწადზე მეტი იყო. ვადა გავიდოდა თუ არა მეფე ვაჟის ცოლთან მივიდოდა დასამორჩილებლად და ის კი არ დანებდებოდა და თავს ჩამოიხრჩობდა. ეს ყოველივე უმაბო დობილებს. თინათინი ჩავიდა მამასთან და დაეკითხა იქნებ რაიმე საშუალება იცი, რომ წლის გზა ორი დღე გავიაროთო. ბებერმა მიუგო: ფრენია ქაჯები რომ არიან, მათ შეაჯექით და ერთი დღის განმავლობაში მიხვალთო.

გამოიყვანეს ქაჯები შეაჯდნენ და დღე-ნახევარში მივიდენ კიდეც.

ვაჟის ცოლი სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი რაკი დააგვიანდა, მაგრამ თავს მითი ინუგეშებდა რომ მას არ შევარცხვენ და თავს უმალ მოვიკლავ, ვიდრე ისინი მოასწრობდნენ ჩემ დამორჩილებასო.

ვაჟმა უთხრა ქაჯებს, ისე გატეხეთ კოშკის კარები, რომ ხმაურობა არ გაიგონოს ჩემმა ცოლმა, თორემ თავს იმ წამსვე ჩამოიხრჩობსო. ქაჯებმა გატეხეს ერთი კარი, მეორე, მესამეს რომ ტეხდენ ქალმა გაიგონა ხმაურობა, იფიქრა ნამდვილად მეფე მოდისო და გაექანა ანძისკენ. ამ დროს ქაჯებმაც მიასწრეს და გადაარჩინეს.ამ დროს ვაჟიც შევიდა დობილებით. გაიხარეს ძლიერ. შურის საძიებლად მისრის მოსრისეს ის სახელმწიფო. იქიდან პირდაპირ დასავლეთის სახელმწიფოში წავიდნენ. იქაც ერთი ალიაქოთი ააყენეს. შემდეგ კი დაბრუნდნენ თავის სამშობლოში და ცხოვრობდნენ ტკბილად დობილებითურთ.

# ბაქოელი ქართველობა

ბაქოში ქართველობა ბლომად სცხოვრობს. ვგულისხმობ მთელ აქაურ სამრეწველო რაიონს, როგორც საკუთრად ქალაქ ბაქოს, ისე ბალახანა-საბუნჩის, ბიბი-ეიბათს და სხვა ადგილებს. ვგონებ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საერთო რიცხვი ქართველობისა, დიდიან-პატარიანა, ხუთი-ათასს აღემატება.არის აქ ყველა ჯურის და ყოველგვარ საქმის ხალხი: ბლომად არიან მუშები, სხვა და სხვა ხელობის ოსტატები, ხელზე მოსამსახურენი და ნოქრები. არიან სახელმწიფო სამსახურის მოხელენი, კერძო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურენი, ინჟენრები, მასწავლებელნი და თავისუფალ პროფესიის მიმდევარნი—ექიმები და ვექილები. არიან აგრეთვე მრეწველები და ვაჭრები.

ნაკლებად შეჰხვდებით აქ უსაქმო და უადგილო ქართველს, რითაც განთქმულია ყოველი ჩვენი დაბა და ქალაქი, განსაკუთრებით კი ჩვენი დედა-ქალაქები—ტფილისი და ქუთაისი. არც საკვირველია: ბაქოში უსაქმოდ თავის გატანა ძნელია, თითქმის შეუძლებელიც. უსასტიკესი ბრძოლაა არსებობისათვის. იბრძვის ყველა; მუშა—ლუკმა პურის მოსაპოებლად, ხოლო მრეწველი და ვაჭარი—ქონების შესაძენად და ცოლ-შვილის უზრუნველ-საყოფად. ის, ვინც ცხოვრების სარბიელზე გზას იკვლევს და სცნობს, რომ საკმაოდ დაიტვირთა ქონებით, ბაქოს სამუდამოდ თავს ანებებს და განცხრომისა და ფუფუნებისათვის სულ სხვა ადგილს ირჩევს. ნუ გაიკვირვებთ ამ მოვლენას, რადგან ბაქოს და მისი მიდამოების ბუნება ვერაფერი გამლაღებელია თვალის და დამატკბობელი სულისა და გულის. აქაურობა ნავთშია ამოვლებული და ბუნებრივი ფერი აღარაფერსა აქვს. ხე და ბალახი რა არის, მაგრამ იმასაც კი ვერა ნახავთ აქ. მართლაცა და ხედ ხომ არ ჩაითვლება ის საცოდავი უდროოდ დასნეულებული მცენარე, რომელსაც აქაურ „ბაღებში" შეხვდებით. ამ „ბაღებით" მხოლოდ ბაქოს ქალაქის თვითმმართველობას შეუძლიან იმაყოს. ყველაფერში ასეთია ბაქო: ბულბულს ვიღა ჩივის, ზაფხული ისე გაივლის, რომ უბრალო მერცხლის ჭიკჭიკსაც კი ვერ გაიგონებთ ასე გასინჯეთ სანთლით რომ ეძებოთ, მთელ ბაქოში ვერ იპოვნით ერთ პენსიონერსაც კი, ბიუროკრატიულ რუსეთის აუცილებელ დოვლათს. აბა ახლა სხვა ქალაქი აიღეთ, თუნდა ტფილისი. მიბრძანდით რომელიმე თვის ოც-რიცხვში ხაზინაში და თვალ წინ საუცხოვო სურათი გადაგეშლებათ: ნახავთ ლამაზად ჩაწკრიალებულ მოხუცებს, სხვა და სხვა მუნდირში გამოწყობილთ და ნაირნაირ კაკარდით დამშვენებულთ. მოხუცებულების მიუხედავად ისე ამაყად გამოიყურებიან, რომ ეჭვი შეგეპარებათ—ამათ მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხის ფული კი არ უჭამიათ, ქვეყანა უშენებიათო.

მოგეხსენებათ, ბაქო კოსმოპოლიტიური ქალაქია. მრავალ ერსა ჰყავს აქ თავისი წარმომადგენელი, მაგრამ ყველა ერის კოლონია სამრეწველოს, სავაჭროს და სამსახურს გარეშე, საკუთარის საზოგადოებრივ ცხოვრებითა სცხოვრობს. უმრავლესობას ბაქოში თათრები და სომხები შეადგენენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქალაქის თვითმმართველობის გარდა, ამათ თითქმის არაფერი აერთებთ. ესევე ითქმის ევროპიელთა კოლონიებზე. არიან აქ გერმანელები, ინგლისელები, შვედიელები, პოლონელები. ყველა ამათ საკუთარი ორგანიზაციები აქვთ: ეკლესიები, სკოლები, თავშესაფრები და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი.

სხვის მაგალითს ქართველებმაც მიჰბაძეს და თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გაიჩინეს თავიანთი დაწესებულებანი. მცირე რამ ორგანიზაცია ბაქოელ ქართველთა შორის წინადაც არსებობდა, მაგრამ სისტემატიური და ნაყოფიერი მუშაობა ამ ნიადაგზე (კულტ.-განმანათლებელ ასპარეზზე) დაიწყო მას შემდეგ, რაც დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება. განყოფილების არსებობიდან სამი წელიწადი ეხლახან შესრულდა. წარსულ კვირას (27 მაისს) მოხდა საზოგადო კრება, განიხილეს წარსულის წლის ანგარიში, თვალი გადაავლეს მთელი სამი წლის მუშაობას, და ეხლა ჩვენც შეძლება გვაქვს ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველებს ბაქოელ ქართველების ნამოქმედარი ეროვნულ-კულტურულ ასპარეზზე.

წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება დაარსდა 1909 წლის პირველ თებერვალს: ამ დღეს მოხდა დამფუძნებელი კრება, აირჩიეს გამგეობა და დაიწყეს მოქმედება. 27 მაისის კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში გამგეობა ასე ასაბუთებდა განყოფილების დაარსების საჭიროებას:

„ადგილობრივ განყოფილების უმთავრეს მიზნად დასახული იყო ბაქოელ ქართველთა შეერთება-შეკავშირება, მათ შორის თვით-ცნობიერების განვითარება, ეროვნულ საკითხებისადმი ინტერესის გაღვიძება და ეროვნულ ინტერესების დაცვა შეძლებისა დაგვარად. განყოფილება დამაარსებელთა აზრით, იმ კულტურულ ცენტრად უნდა გამხდარიყო, რომლის გარშემოც ქართველობას შესძლებოდა შეკრება და კულტურული მუშაობა ეროვნულ ნიადაგზე. ყველასათვის ცხადია, რომ იმ პირობებში, რომლებშიაც იმყოფება უდიდესი ნაწილი ბაქოელ ქართველებისა, ქართველობა თან და თან ივიწყებს მშობლიურ ენას, სწყვეტს კავშირს საქართველოსთან და გადაგვარების გზას ადგება. აი, სწორედ ამ მოვლენასთან ბრძოლა შეადგენდა და შეადგენს უმთავრესს მიზანს ადგილობრივ განყოფილების არსებობისას".

ფრიად საგულისხმიერო მოვლენას აღნიშნავენ ბაქოელი ინიციატორები: სხვაგან წასული ქართველობა ადვილად ივიწყებს მშობლიურ ენას და სწყვეტს კავშირს საქართველოსთან. მართლაცა და, საკმაო რაღაც ათიოდ წელიწადი, რომ თავისიანებს მოწყვეტილმა ქართველმა დაჰკარგოს ყველაფერი, რითაც ქართველს ქართველობა ეთქმის, და ეს მოვლენა ერთნაირად დამახასიათებელია როგორც, ეგრედ წოდებულ მაღალ, ისე დაბალ წრის ქართველისათვის. სავალალო უფრო ის არის, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქართველი სულ აღარა ფიქრობს შვილების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდას. ქართულ ენის, უბრალო სალაპარაკო ენის სწავლებისთვისაც-კი აღარ იტკიებს თავს. მრავალი ერია ქართველებზე უფრო კულტურული. არიან ისეთნიც, რომელნიც კულტურის კიბის საფეხურებზე ბევრად უფრო დაბლა სდგანან. მაგრამ არც პირველნი და არც მეორენი ისე ადვილად არ ემორჩილებიან სხვის გავლენას და ასე ადვილად არ ჰკარგავენ თავიანთ ეროვნულ ელფერს, როგორც ქართველები. ამ მოვლენას, რა თქმა უნდა თავისი ღრმა მიზეზები აქვს, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად შედეგი გვაინტერესებს, რომელთან ბრძოლაც ასე საჭირო გამხდარა.

ბაქოს განყოფილებამაც უპირველეს საქმედ დაისახა ამ ანორმალურ მოვლენასთან ბრძოლა. ამ აზრით 4 ოქტომბერს 1909 წელს დაარსა ქართული სკოლა. წელს სამი წელიწადი შეუსრულდა სკოლას და მცირე დრომაც საკმაოდ დაამტკიცა, რა ნაყოფის მოტანა შეუძლიან პატარა, მაგრამ კარგად მოწყობილ საქმეს. დაარსებისას სკოლაში ერთი განყოფილება იყო, მხოლოდ, დღეს კი იგი ოთხი განყოფილებისაგან შესდგება. პირველ წელს სწავლობდა 45 მოწაფე (22 ვაჟი და 23 ქალი), მეორე წელს — 73 მ. (33 ვ. და 40 ქ.), ხოლო მესამე წელს — 86 მოწაფე (51 ვ. და 35 ქ.) სკოლის გამგედ და უფროს მასწავლებლად არის გამოცდილი პედაგოგი მელიტონ რამიშვილი.

ოთხსავე განყოფილებაში სწავლა ყველა საგნებისა ქართულ ენაზე სწარმოებს. რუსული ენა ისწავლება როგორც ცალკე საგანი. წერა-კითხვისა და ანგარიშის გარდა, ბავშვებს აწვდიან ელემენტარულ ცოდნას საზოგადო განათლების საგნებიდან. უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ბავშვის გონების განვითარებაზე. სკოლას აზრად არა აქვს ბავშვების მომზადება სხვა სასწავლებლებისათვის, მაგრამ რაკი სკოლა ქართულ, ესე იგი გასაგებ ენაზეა, მოსწავლენი ადვილად ითვისებენ სხვა და სხვა ცოდნას და ადვილადვე ახერხებენ შესვლას სხვა სასწავლებლებში, კონკურსის მიუხედავად. წლევანდელმა მაგალითმა აშკარად დაამტკიცა ეს. მეოთხე განყოფილება გაათავა ოთხმა ბავშვმა. სამმა მოისურვა სხვა სასწავლებელში შესვლა, პირველ კლასში. სამივემ როგორც რუსულ ენაში, ისე სხვა საგნებში საუკეთესო ნიშნები მიიღო—4 და 5. ბაქოს სკოლის მაგალითმა ერთხელ კიდევ ნათელ-ჰყო ის პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ სასურველი ნაყოფი მოაქვს მხოლოდ იმ სკოლას, სადაც სწავლა დედა-ენაზე სწარმოებს.

სკოლის შემდეგ განყოფილების გამგეობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია ქართულ წარმოდგენებს. ბაქოში წარმოდგენები წინადაც იმართებოდა, მაგრამ არა სისტემატიურად. გამგეობამ განიზრახა სცენის მოყვარეთა მუდმივ დასის დაარსება. 1909 წელს მხოლოდ ოთხი წარმოდგენის დადგმა მოასწრეს. წარმოდგენების საქმე რიგიანად ვერც მეორე წელიწადს მოეწყო. მხოლოდ მესამე წელიწადს, როდესაც გამგეობასთან შესდგა დრამატიული სექცია საქმე შესამჩნევად წავიდა წინ. სექციაში შედიან სცენის მოყვარენი. ბაქოს ბევრი კარგი სცენის მოყვარე ჰყავს და ეს არა ერთხელ აღვინიშნავს რეცენზიებში. სექციის საქმეებს განაგებს აღმასრულებელი ორგანო, რომლის თავმჯდომარედაც არის გამგეობის წარმომადგენელი სექციაში—ამ ჟამად ბ-ნი თედეშვილი. სექციამ დაუკლო ფასები და წარმოდგენებს სახალხო თეატრის ელფერი მისცა. ამის შემდეგ აღარც ერთი წარმოდგენა არ გამართულა, რომელსაც დიდძალი ხალხი არ დასწრებოდეს და შემოსავალს ხარჯისთვის არ გადაეჭარბებინოს. წარმოდგენების საქმე კარგად წავიდა განსაკუთრებით წელს, მას შემდეგ, როცა გამოცდილი რეჟისორი მოიწვიეს. სამი თვის განმავლობაში თორმეტ წარმოდგენამდე გამართა და ყველა წარმოგენის დროს დარბაზი სავსე იყო ხალხით. როგორც ჰხედავთ, მოთხოვნილება დიდია და ამ გარემოებას გამგეობა შემდეგშიაც ვერ დასტოვებს უყურადღებოდ. უსათუოდ უნდა ეცადოს საკუთარ სათეატრო დარბაზის აგებას. ამ დარბაზის გაქირავება ყოველთვის შეიძლება, მაშასადამე, ქირისა და ქართულ წარმოდგენების წმინდა მოგება კარგ შემოსავალს მისცემს განყოფილებას. მაგრამ მოგებაც რომ არ იყოს, ამ საქმეზე გამგეობა ხელს ვერ აიღებს, რადგან ქართული თეატრი ბაქოში სკოლაზე ნაკლებად არ ემსახურება იმ მიზანს, რომელიც ინიციატორებმა განყოფილების დაარსების დროს დაისახეს.

ამ ჟამად სექციასთან არსებობს აგრეთვე მომღერალთა გუნდი ბ-ნ ნ. ჩაგუნავას ლოტბარობით.

განყოფილება დაარსებისათანავე შეუდგა წიგნთსაცავისა და სამკითხველოს მოწყობას, მაგრამ, ბინის უქონლობისა გამო, ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, თუმცა წიგნები დღეს უკვე ბლომად აქვს— 1400 ცალი. აქედან 1000-მდე ქართული წიგნია და 400-მდე რუსული. არის აგრეთვე საბავშვო წიგნები ხუთას ცალამდე. ამ წიგნებით დღეს მოსწავლენი სარგებლობენ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. სკოლას მოსდის ბავშვებისთვის აგრეთვე ქართული საყმაწვილო ჟურნალები.

წელს გამგეობამ ერთი დიდი და ფრიად სასარგებლო საქმე განიზრახა; მოწყობა ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის კურსებისა აქაურ საშუალო სასწავლებლების ქართველ მოსწავლეთათვის. როგორც შეკრებილ ცნობებიდან აღმოჩნდა, ბაქოს საშუალო სასწავლებლებში (გიმნაზიებსა, რეალურ, საკომერციო და სატეხნიკო სასწავლებლებში) სწავლობს 150 ქართველ მოწაფეზე მეტი. ამ სასწავლებლებში, რა თქმა უნდა, ჭაჭანება არ არის ქართულ ენისა, მით უმეტეს ქართულ ისტორიის და ლიტერატურისა. ბევრი ქართველი ისე იზრდება აქ, რომ ქართული ლაპარაკიც-კი არ იცის. თითო-ოროლას შეუსწავლია მხოლოდ წერა-კითხვა და წაუკითხნია ორიოდე ქართული წიგნი. ადვილად მიხვდებით, რომ, თუ საქმე ასე გაგრძელდა, ეს ამოდენა მოზარდი თაობა, მცირედის გამონაკლისით, დაკარგული იქნება ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის. ამ ნაკლს ყურადღება მიაქციეს თვით მოსწავლეებმა: შეკრიბეს ცნობები ქართველ მოსწავლეთა შესახებ და სთხოვეს გამგეობას მოეწყო მათთვის ზემოხსენებული საღამოს კურსები. გამგეობა, რასაკვირველია, სიხარულით მიეგება ამ აზრს, შეიმუშავა პროგრამა და მიმართა შუამდგომლობისთვის სათანადო დაწესებულებას. სამწუხაროდ, საქმე შეფერხდა, რადგან გამგეობამ სანუგეშო პასუხი ვერ მიიღო: წესდებაში არა სწერიარა ასეთ კურსების შესახებ და ნებას ვერ დაკრთავთო. მაშინ აქაურმა გამგეობამ მთავარ გამგეობას მიჰმართა წესდების შესაცვლელად. საქმე ამ მდგომარეობაშია დღეს.

როგორც მთავარმა, ისე აქაურმა გამგეობამ უსათუოდ უნდა ილონოს რამ ამ საქმის მოსაგვარებლად. ყველა ადვილად მიჰხვდება, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ხსენებულ კურსებს. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ბაქოს მაგალითს სხვა ქალაქის ქართველებიც მიჰბაძავენ. მაშასადამე, წესდების შეცვლა აუცილებელია. ბაქოელ მოსწავლეებს იმედი აქვთ, რომ შემოდგომიდან უკვე იქნება კურსები.

უმთავრესი საზრუნავი განყოფილებისა დაარსებიდან დღემდე, რასაკვირველია, ფულის მოპოება იყო როგორც სკოლის შესანახად, ისე სხვა საქმეების წასაძღოლად. აქვე მომყავს შემოსავალ-გასავლის ანგარიში (კაპიკებს არ ვანგარიშობ).

| | შემოსავალი: | ხარჯი: |
|---|---|---|
| 1909 წელს | 3425 მ. | 1924 მ. |
| 1910 „ | 7086 „ | 6211 „ |
| 1911 „ | 6500 „ | 5960 „ |

შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენდა და შეადგენს დღესაც ქართული საღამო და აქაურ ქართველების ყოველთვიური და ერთდროული შეწირულებანი. ხარჯს უმთავრესად იწვევდა და იწვევს ქართული სკოლა.

დღეს განყოფილებას აქვს ქონება 1860 მანეთისა და საკუთარი სახლი, ღირებული 19,000 მანეთად. საკუთარ ადგილის მოპოებამ და შენობის აგებამ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ბაქოს ქართულ კოლონიის დაწესებულებებს. ადგილი, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქის თვით-მართველობამ დაუთმო. აქაური თვითმმართველობა უმთავრესად თათრების ხელშია და მაშასადამე, ასეთ თანაგრძნობისათვის მათ უნდა ეთქვას მადლობა. საზოგადოდ, თათრები ყურადღებით ექცევიან ქართველთა კოლონიის საქმეებს: სიამოვნებით ესწრებიან ქართულ საღამოებს და ზოგნი წ.-კ. საზოგადოების განყოფილების წევრებად ეწერებიან, მაგალითად, მილიონერმა ბ-ნმა მუხთაროვმა თავის სურვილით შემოიტანა ორასი მანეთი. დღეს მუხთაროვი და მისი მეუღლე განყოფილების მუდმივ წევრებად ითვლებიან.

ქალაქის თვით-მმართველობის მიერ დათმობილი ადგილი შეიცავს 646 ოთხკუთხ საჟენს და მდებარეობს ქალაქის საუკეთესო ნაწილში. სულ მცირე ფასი რომ ჩავაგდოთ—საჟენი 100 მანეთად, ამ ადგილის ღირებულება მაინც ნახევარ მილიონ მანეთს აღემატება. ადგილის მიღებისათანავე განყოფილების საზოგადო კრებამ შეადგინა საამშენებლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქმნა ქართულ კოლონიის და მთელ ბაქოს საზოგადოების პატივცემული წევრი კნ. თამარ დადიანისა. გეგმით უნდა აშენდეს სასკოლო შენობა, სათეატრო დარბაზი და დარბაზი ეკლესიისთვის. დღეს სასკოლო შენობა უკვე მზადაა და სკოლაც იქ არის მოთავსებული. ასე სწრაფად ამ საქმის დაბოლოებას ხელი შეუწყო ბ-ნ იაკობ მანსვეტაშვილის უხვმა შეწირულებამ: მან სკოლის შენობა თავის ხარჯით ააგო. მანსვეტაშვილმა დიდი სიკეთე დასდო ბაქოელ ქართველობას და სწორედ ამიტომ განყოფილების წლევანდელმა საზოგადო კრებამ აირჩია იგი საპატიო წევრად და, ამას გარდა, დაადგინა, დაჰკიდოს მისი სურათი სკოლის შენობაში. სკოლა ოთხი დიდი და ნათელი ოთახისაგან შესდგება. ამას გარდა არის უზარმაზარი დერეფანი ზამთარში ბავშვების სათამაშოდ.

ყველა ის, რაც ზემოდ ავღნიშნეთ სამი წლის განმავლობაში გაკეთდა. მკითხველი თვითონ მიჰხვდება, რომ განყოფილების გამგეობას დიდი შრომა და მეცადინეობა უნდა გაეწია, თუ კი შედარებით ასე მცირე ხანში ამდენის გაკეთება მოასწრო. მართლაც, აღსანიშნავია გამგეობის დაუზარებელი და მუყაითი მუშაობა. სხვა რომ არა იყოს რა, ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ დანიშნულ დღეს (ოთხშაბათობით) გამგეობის კრება არ შემდგარიყოს. პირველი თავმჯდომარე განყოფილების გამგეობისა იყო დირექტორი აქაურ საკომერციო სასწავლებლისა თავ. მ. ი. თაქთაქიშვილი. ორი წლის განმავლობაში მან შესამჩნევი კვალი დააჩნია განყოფილების ცხოვრებას. ორი წლის შემდეგ, სხვა და სხვა გარეშე მიზეზის გამო, მან გამგეობას თავი დაანება და იმის ნაცვლად ერთხმად არჩეულ იქნა თავ. ი. ი. დადიანი. თავმჯდომარის ამხანაგად იყო ს. მ. კვიტაშვილი, ერთ-ერთი მხნე წევრი გამგეობისა. ამათ გარდა გამგეობაში შედიოდნენ: ვ. ბ. ნუჭუა (ხაზინადარი), ვ. მ. ახვლედიანი (მდივანი), ექ. კ. ტ. ლორთქიფანიძე, რ. ს. ნაცვლიშვილი, დ. ი. თედეშვილი, თავ. პ. ლ. გელოვანი. ექ. ლ. ლ. გოცირიძე, მ. ა. ნასიძე, ვ. ა. ახობაძე, პ. ი. ქარუმიძე, ი. მ. თურქია, მ. ი. კალანდარიშვილი და დ. ი. ჯორჯიკია. სარევიზიო კომისიაში: ა. ნემსაძე, ა. ს. ქადიეიშვილი და ლ. გ. გრიგორაშვილი. წლევანდელმა კრებამ კვლავ ესენი აირჩია.

რა თქმა უნდა, გამგეობა მარტო ვერას გააკეთებდა, რომ ბაქოელ ქართველობას მხარი დაეჭირა. სიამოვნებით უნდა ავღნიშნოთ, რომ ბაქოელი ქართველობა წ.-კ, საზოგადოების განყოფილებას და მის დაწესებულებებს ისე უყურებს, როგორც საკუთარ საქმეს და ფულს არა ზოგავს. სრული იმედი გვაქვს, რომ გამგეობა და მთლად ბაქოელი ქართველობა კვლავაც ასეთის სიყვარულით განაგრძობენ მუშაობას ამ ნიადაგზე და მომავალ სამი წლის განმავლობაში სავსებით დააგვირგვინებენ სამი წლის წინად დაწყებულ საკეთილო საქმეს.

# ჩინეთის რესპუბლიკა

## დეპეშები.

**კაშგარი.** აღმოაჩინეს პროვინციის ჯარის უფროსის საწინააღმდეგო შეთქმულება. შეთქმულებას აზრად ჰქონდა კაშგარის რესპუბლიკის დაარსება.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 613.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პეკინი.** შანდუნის პროვინციის ქალაქ ცინანფუში დაბანაკებული ჯარი აჯანყებულა, ქალაქსა სწვავს და სძარცვავს თურმე. მეხუთე დივიზია აჯანყებულებს ებრძვის და უცხოელთა საკუთრებას იცავს.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ

4 ივნისი.

### გაფიცვები

**გავრი.** ეროვნულ კრების კომიტეტის დელეგატებმა გამოუცხადეს გაფიცულ მუშებს, როდესაც ნავთსადგურებში დავბრუნდებით მეზღვაურთა გაფიცვა დაიწყებაო.

**ნიუ-იორკი.** ჰოლანდია-ამერიკის გზის ნავთ-სადგურთა მუშების გაფიცვა გათავდა.

**მანჩესტერი.** მანჩესტერისა და სოლფორდის გემთა საამშენებლო ქარხანათა მუშებს გადაუწყვეტიათ უექველად მუშაობას დაადგნენ.

**პერსენბოი.** პირველ ივნისს 2 ათასი გაფიცული კიდევ დასცემია ქარხნებს. პოლიციას სროლა აუტეხნია, მოუკლავს სამი, შვიდი დაუჭრია.

### კორეელების ამბოხება.

**სეული.** ქალაქ ულსანში 1000 კორეელთ ამბოხება მოუხდენიათ იაპონელ მებადურთა წინააღმდეგ, რომელნიც ბოროტ-მოქმედებდნენ თურმე. ფუძიანიდან გაგზავნილ პოლიციელთა რაზმს გაუფანტნია კორეელები და მოთავეები დაუპატიმრებია.

### ავსტრია-ჰუნგრეთის ვითარება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის კომისიას უცვლელად მიუღია სამხედრო რეფორმის კანონ-პროექტი.

**დუბროვნიკი.** ბანის (მმართველის) ცუვაის მოკვლის განზრახვის საქმეს იძიებენ. დაუპატიმრებიათ საშუალო სასწავლებლის შვიდი მოწაფე და 20 გაუჩხრეკიათ.

**ვენა.** პალატის საბიუჯეტო კომისიაში განათლების მინისტრმა გუსარეკმა ილაპარაკა. იგი შეეხო პოლონელთა კოლოსთან შეთანხმებას. მინისტრმა უკრაინელთა უნივერსიტეტის დაარსების გამო სთქვა, შეთანხმება შესაძლებელიაო. იმპერატორის რეზოლუცია უკრაინელთა გამარჯვების თავდებიაო.

სამხედრო რეფორმის გამრჩევთა კომისიაში უკრაინელს ლევიცკის განუცხადებია, თავს დავანებებთ საობსტრუქციო მოქმედებასაო.

კომისიას 46 საათის განმავლობაში ჰქონდა სხდომა და ეხლა ძლივს დახურეს.

**ვენა.** ავადმყოფობის გამო გრაფმა სტანისლავ ბადენმა გალიციის მართლობას თავი დაანება. მის მაგივრად დეპუტატი გრაფი ადამ გოლუხოვსკი დანიშნეს. იმპერატორი ბრძანებით მადლობას უძღვნება ბადენის და აღნიშნავს, გალიციის ორთავე ეროვნებას მოარიგებდი ხოლმე და მშვიდობიანობა დაგიმყარებიაო.

**ბუდაპეშტი.** მაგნატთა პალატამ დიდი უმრავლესობით მიიღო სამჯერ განხილვის შემდეგ სამხედრო კანონ-პროექტები. მიიღო აგრეთვე ჯარისათვის სასისხლსამართლო კანონ-პროექტები.

**ლვოვი.** საადმინისტრაციო სასამართლოს დადგენილებით ლვოვის მაგისტრატს უფლებანი ჩამოერთვა ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა გამო. მაგისტრატის საქმის გამგეობა ახალ არჩევნებამდე ან ძველი ხმოსნები განაგებენ ან კომისარი.

### მიტროპოლიტი ლეტიცა.

**სარაევო.** გაზეთების სიტყვით, სერბიის მიტროპოლიტს ლეტიცას სამსახურიდან დათხოვნა უთხოვნია. მიტროპოლიტი შემდეგს შეურაცხუყვია. საიმპერიო ფინანსთა მინისტრს ბილინსკის ოფიციალურ აუდიენციაზე უთქვამს, ძალიან სამწუხაროა, რომ აქ კათოლიკეთა ეკლესიის წარმომადგენელი არა ბრძანდებაო.

### ჟურნალისტთა კრება.

**პრაგა.** სლავიანთა ჟურნალისტების ყრილობა დაიწყება 15 ივნისს, „შევარდენთა“—16 ივნისსა.

### მაროკოს პროტექტორატი.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა შეუდგა მაროკოს შეკითხვისა და მაროკოს პროტექტორატის კანონპროექტის განხილვას. კამათმა რამდენსამე სხდომას გასტანა.

### სპარსეთის რკინის გზა

**პარიზი.** „სოციეტე ეტუდის“ 24 წევრი აირჩიეს. ამ საზოგადოებამ სპარსეთის იქითა მხრის რკინის გზა უნდა გაიყვანოს. საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ—რენდრი, ვიცე-თავმჯდომარედ—გარსტინი და ხომიაკოვი. არის რამდენიმე რუსიც. საბჭოს უკვე შესდგომია მუშაობასა და აურჩევია (?) სატეხნიკო ნაწილისათვის.

### სუფრაჟისტკის საქციელი.

**ლონდონი.** გაზეთების სიტყვით, მეფის დაბადების დღესასწაულზე ერთი სუფრაჟისტკა ასკვიტს მიჰვარდნია და მოუნდომებია პრემიერისათვის მუნდირის ეპოლეტების აწყვეტა. სუფრაჟისტკა დარბაზიდან გაუყვანიათ.

### რუზველტი და რესპუბლიკელთა კონვენტი.

**ჩიკაგო.** რუზველტი რესპუბლიკელთა პარტიის კონვენტის დასასწრებლად ჩამოვიდა. ვაგზალზე აურაცხელი ხალხი დახვედრია და ოვაციებ გაუმართნიათ.

### იტალიელთა გამარჯვება.

**რომი.** გენერალ ფარას ბუშაიფის მაღლობები აუღია. სამხედრო გემს ზარბაზნი დაუშენია არაბებისათვის და გაუფანტნია. დილას ბუშაიფის წმ. ადგილიც აუღიათ.

### ოსმალეთის ვითარება.

**სტამბოლი.** მთავრობა ომის გაჭიანურების გამო გადასახადთა გადიდებას აპირებს. გადასახადთა გადიდება წელიწადში თითქმის ერთ მილიონ მანეთს მეტს შემოიტანს. იტალიელთა მოქმედების დაწყებას ეგეის ზღვაზე 6 ივნისისათვის ელიან.

## რუსეთი.

### მასწავლებლის დაჭრა.

**ლვოვი.** სარეალო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფემ მძიმედ დასჭრა რევოლვერით მათემატიკის მასწავლებელი შადენი. მიზეზი—ცუდი ნიშნის დაწერა ყოფილა.

### მატარებლის გაძარცვა.

**ხარბინი.** ლიდახლის რაზიეზდზე სამგზავრო მატარებელში 6 შეიარაღებული ჩინელი შეცვინულა, მგზავრები გაუძარცვავს და ერთი გაქანებულ მატარებლიდან გადმოუგდიათ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქ. გორი. გასტროლი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.** 10 ივნისისათვის დანიშნული ქართული წარმოდგენა ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის გამო, გაიმართება შაბათს, 9 ივნისს.

## წერილი რედ. მიმართ

ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს** გამგეობა მადლობას უცხადებს ქვემოდ მოხსენებულ პირთ, რომელთაც თავისი წვლილი შესწირეს ამ საზოგადოებას:

ერასტი ჯაფარიძე—1 მ. ქ-ნ ლ. ს. ზალდასტანოვისა 2 მ. არშაკ გრ. მალხაზოვი 1 მ. ანდრია გრ. გრაჩოვი 1 მ. №№ 50 კ. მიხეილ კავსაძისგან 50 კ. №№ 50 კ. ა. პატცმა 1 მ. გიო ნაცვლიშვილი 20 კ. ექიმ დ. ე. ჯაფარიშვილისაგან 3 მ. ბ-ნ ქანტურაძისგან 40 კ. გ. ნიკოლაშვილი 1 მ. კ. ჯალალუასგან 40 კ. თ-დ ს. აბაშიძისგან 1 მ. მელქო შანკულაშვილისგან 10 კ. ნ. პ. იაევი 1 მ. ს. ზარდალიშვილი 50 კ. გ. ი. ცისკარაშვილი 1 მ. ი. დ. კაზარიშვილი 50 კ. ა. ქ. ქიტიაშვილი 50 კ. ს. ს. ტაბატაძე 50 კ. ნ. ი. ქიღოშვილი 50 კ. ი. ს. ნიბლაძე 55 კ. მ. დ. ზარდიაშვილი 50 კ. ზ. ა. აჯიმაშვილი 1 მ. ე. ნ. გორძელაშვილი 20 კ. ნ. მ. ბეზარაშვილი 20 კ. ი. ზ. იმერლიშვლი 40 კ. ბუხტერი 55 კ. გ. გ. თ. ბებუთოვი 1 მ. ი. ა. კურხელაძე 1 მ. თ. გ. თ. მაყაშვილი 1 მ. ნ. ლ. აბაზაძე 1 მ. ვ. ს. რიბაჩენკო 1 მ. ს. ი. კონტრიძე 1 მ. ა. ი. ოსიკოვი 1 მ. მირზა დავით ხან მირზა ჰუსანდიემა 1 მ. ცეცაძე და ამხ. 1 მ. ს. ა. თ. ლვოვი 1 მ. ს. რ. ოსიფოვი 1 მ. ნ. პ. ზარგარიანცი 1 მ. ტალმაჩოვი 1 მ. 20 კ. ნ. ა. ამირხანოვი 1 მან. ნ. ს. ლისინოვი 1 მ. ვ. ს. ბაისაგოლოვი 1 მ. ნ. გ. გულავერდოვი 1 მ. ქ. გ. ღვინიაშვილი 1 მ.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღლაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ:** საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-I და მე-II კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან:** ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან:** ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან** საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### უფასო საექიმო დახმარება

#### ქალაქის საბჭოს ექიმები.

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71 |

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შენახვაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### გემების მიმოსვლა

#### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო № 2.** რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დილის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

## განცხადებანი

**ეპიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო**
**სამკურნალო**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**
**დილით:**
„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.67)

**იყიდება ლიმონადის ქარხანა**
**„შვეიცარია“**
**ნაძალადევში**
მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ.,** № 3, **კავთიაშვილს.** (25—492—7)

**ყოველ-დღე მოგვდის:**
**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქეტკა) 2 მ. 40 კ. გირ.
ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალოსის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსულ თევზი
(წ.—1131—74)

**თევზის მრეწველნი**
**ძმ.**
**ძებველოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**

შუშხუნა **„ჩვენი გემო“** კვასი
დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან; კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაჰკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „**ჩვენი გემო**“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი მოითხოვონ ყველგან „**ჩვენი გემო**“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.
პატივისცემით **მათე გორგილაძე** და **ამხანაგობა.**
მისამართი: სუდებნი ქუჩა სახლი № 6. (20.1096.9)

**ტფილისის ქალაქის**
**გამგეობა**
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 15 ივნისს, შუადღის 12 საათზე გამგეობის საკრებულოში დანიშნულია
**საჯარო ვაჭრობა**
მალაკნების მოედანზე (მეათე საპოლიციო უბანი) მყოფ **საქალაქო სასწორის** (ყანთრის) იჯარით გასაცემად.
პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მე-4 განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1309—1)

**ტფილისის ქალაქის**
**გამგეობა**
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 10 ივნისს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის საკრებულოში დანიშნულია
**საჯარო ვაჭრობა**
დესიმონოვის მოედანზე, მერვე სამოქ. ნაწილი, **საქალაქო სასწორის** (ყანთრის) იჯარით გასაცემად.
პირობების გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში დილის 9 საათიდან, ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1310—1)

**1912 წ. მიიღება ხელის მოწერა**
**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**
**„ნაკადული“-ზე**
◆ **წელიწადი მერვე.** ◆
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**
**24 წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●**
**—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოცხოშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**
(წ.—1627—70 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**სამეურნეო წიგნები:**

| | მ. კ. |
|---|---|
| ამერიკული ვაზით ვენახის გაშენება, ს. ქვარიანისა. ფასი | — 5 |
| ახალი საუკეთესო წესი ვენახის გაშენებისა, მისივე. . . . | —10 |
| გონიერი მოვლა-მოშენება შინაურ ფრინველ. ი. როსტომ. | —15 |
| კანონი შესახებ ვენახის ყველა სენთა წინააღმდეგ. გამ. „მოს.“ | —15 |
| ვაზის მოვლა-მოშენებ. და ღვინის დაყენება, ა. დარეჯანაშვ. | —15 |
| მეურნ. დ ახალი სკოლა ი. როსტ. | — 5 |
| მოკლე დარიგება როგორ უნდა მოვლა და წამლობა ყაქის ჴიას, ბ. კარაბეგოვისა . . | —20 |
| მოკლე დარიგება ხეხილის გამრავლებაზე, არჩ. დარეჯანაშ. | —20 |
| მეაბრეშ. პირველი ამხ. ქუთაისში დ მისი საქმეები, ნ. წერეთ. | — 5 |
| ნაყოფის ჴია, ქარცივაძისა . | — 5 |
| პურ. ბოსტ. ჩინურ. წეს., როსტ. | — 7 |
| საუნჯე მეურნეობისა, არ. დარ. | 15 |
| საზოგად. მიწათ-მოქმ., მ. ზაალ. | —20 |
| საზოგ. ზოოტეხნია, მ. ზაალიშვ. | —25 |
| რძე და მისი სხვა და სხვა რიგად გამოყ., პროფ. პეტრიაშ. | 1 50 |
| ფუტკარი და მეფუტკრ., აპ. წ. | —80 |
| ფუტკ. გონიერ. მოვლ.-მოშ. ა. დ. | —10 |
| ტყის გონიერი მოვლა-მოშენება და მოხმარ., ა. სალარიძისა | —15 |
| შინაური საქონელი და მისი მოვლა-მოშენება, ი. როსტომაშ. | — 5 |
| ხეხილ. გამრავლ. და მოვლა, ი. რ. | — 7 |
| ხეხილ. დარგ. დ მისი მოვ. ა. დარ. | —20 |
| Сельско-хоз. замѣт., Л. М Эрист. | —15 |

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.57)

ხელოვნურად შეზავებული
**სამკურნალო და ხილეულობის**
**წყალი**
**მიტროფანე ლაღიძე და ამხსა.**
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.
გემო და სუნი საამური აქვს.
ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.
ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5**
(25.1160.24) **ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

**ქალაქის** საუქციონო **ზალა.** (ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრეთვე **შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20% ი, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2%-სა. დღისით 9—3 საათამდის. (25.421.11)

**ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,**
ქუთაისში
ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კასტრიულები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი სამზარეულო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, სოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, ლოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პაროვმოიკი) ახალის სისტემისა და საუკეთესო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქვს წარმომადგენლობა; **საწერ. მანქანა „ტორპედოსი“**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236 10)
ქუთაისში

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.